პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
3 ივლისი
1940 წ.
№ 151 (5852)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსტატი უნდა გახდეს წარმოების სრულუფლებიანი ხელმძღვანელი

ერთ თვეზე მეტია რაც გამოქვეყნდა პარტიისა და მთავრობის შესანიშნავი დადგენილება მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნებში ოსტატის როლის ამაღლების შესახებ. ეს დოკუმენტი გამოირჩევა თავისი პრინციპული და პრაქტიკული მნიშვნელობით და უპასუხებს ჩვენი მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის სასიცოცხლო ინტერესებს. ამ დადგენილებაში მოცემულია მშობლიური, **სტალინური** ზრუნვა წარმოების ძირეულ მეთაურებზე, წარმოების ორგანიზატორებზე.

დადგენილებამ მკაცრად დაჰგმო ოსტატის როლისა და ავტორიტეტის შეუფასებლობის მავნე პრაქტიკა, რომელიც „ზიანს აყენებს სოციალისტური მრეწველობისა და სახელმწიფოს ინტერესებს“ და გადაჭრით მოითხოვა, რომ ოსტატი გახდეს წარმოების სრულუფლებიანი ხელმძღვანელი თავის უბანზე და იყოს წარმოების ცენტრალური ფიგურა.

საბჭოთა ოსტატი წარმოების ნამდვილი ორგანიზატორია, იგი უშუალოდ აწყობს წარმოების პროცესს თავის უბანზე, იგი პასუხისმგებელია საწარმოო პროგრამის მთლიანად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ხალხი, ვის ხელშიაც არის წარმოების ბედიგბალი, ვინც სოციალისტური სახელმწიფოს რწმუნებულ პირს წარმოადგენს, ვინც განაგებს წარმოების ტექნოლოგიურ პროცესს, ვინც ითვლება წარმოების ნამდვილ წინამძღოლად და ნოვატორად, დიდი უფლებითა და ავტორიტეტით უნდა იყოს მოსილი. მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდნენ ეს ადამიანები სრულუფლებიანი სამეურნეო ხელმძღვანელები, წარმოების ნამდვილი ორგანიზატორები.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ბევრ ჩვენს წარმოებაში ადგილი ჰქონდა ოსტატის დიდმნიშვნელოვანი როლის მრავალგზის შეუფასებლობას. პარტიისა და მთავრობის დადგენილებით სასტიკად დაგმობილია ასეთი შეუწყნარებელი და ყოვლად გაუმართლებელი პრაქტიკა.

ჩვენს მიერ ამასწინად თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში ჩატარებულ ოსტატთა თათბირზე ოსტატები, აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ რა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განუზომელ მნიშვნელობაზე, გულისწყრომით მიუთითებდნენ იმ შეუფასებლობაზე, რაც დადგენილების გამოქვეყნებამდე ქარხნის ოსტატთა ხვედრი იყო.

მექანიკური საამქროს უფროსი ოსტატი ამხ. მიასნიკოვი მოგვითხრობდა იმაზე, თუ ხშირად, როგორ უხეშად ერეოდნენ ოსტატის ფუნქციებში. მუშას დავალებას აძლევდნენ ოსტატის გვერდის ავლით და ამით იწვევდნენ ოსტატის ავტორიტეტის შელახვას. მუშა ამხ. ზამულამ დავალება ისე მიიღო საგეგმო-გამანაწილებელი ბიუროს გამგისაგან, რომ ოსტატმა ამაზე არაფერი იცოდა.

ზოგჯერ ისიც ხდებოდა, რომ მუშა თვითნებურად უარს იუბნებოდა ოსტატს დავალების შესრულებაზე. ამხ. ივანოვი შპინდელს ღარავდა, ოსტატს ფრიად სასწრაფოდ მეორე სამუშაოს შესრულება დასჭირდა, მაგრამ მუშა ოსტატს არ უყურებდა, როგორც წარმოების სრულუფლებიან ხელმძღვანელს და უარი უთხრა სასწრაფო სამუშაოს შესრულებაზე, რითაც შეფერხდა მილსაჭრელი დაზგის აწყობა.

ოსტატებს დიდი დრო ეკარგებოდათ უნაყოფო სირბილში. სამუშაო დროის თითქმის ნახევარს ისინი ანდომებდნენ საკონტორო, არსებითად საკანცელარიო, სამუშაოს შესრულებას ან იარაღების, ნაწილებისა და მასალების ძებნას. დროის ფაქტორს ახლაც ვერ აფასებენ სათანადოდ კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში. ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. დრო უნდა ვანგარიშობდეთ არა მარტო საათობით, არამედ წუთობითა და წამობით. მაშინ ოსტატს საშუალება ექნება იფიქროს წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებზე, ტექნიკური ზედამხედველობა და დახმარება გაუწიოს თავისი ჯგუფის მუშებს, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება.

დადგენილებაში გარკვევით არის ნათქვამი იმაზედაც, რომ ოსტატის ხელფასი ბევრ შემთხვევაში ნაკლები იყო კვალიფიციური მუშების ხელფასზე. ასე იყო კიროვის სახელობის ქარხანაშიც. ოსტატი თვეში ღებულობდა 550—600 მანეთს, ხოლო კვალიფიციური მუშა 800—1000 მანეთს. ასეთ პირობებში მუშებს ეკარგებოდათ ოსტატად გახდომის სტიმული, ფერხდებოდა ინჟინერ-ტექნიკოსების დანიშვნა ამ საპატიო სამუშაოზე. ახლა ასეთ მოვლენებს ზღვარი დაედო. ინჟინრებმა ამხ. ნებიკოვმა, ოქროპირიძემ, ქურდაძემ და სხვ. დიდი ხალისით დაიწყეს ოსტატად მუშაობა.

ოსტატის უფლებებისა და ავტორიტეტის ზრდასთან ერთად იზრდება მისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა. ოსტატი ღრმად უნდა ჩაწვდეს წარმოების ეკონომიკას. ახლა ოსტატის მუშაობა შეფასდება მისი უბნის ტექნიკური და ეკონომიური მაჩვენებლებით, მისი შემოქმედებითი ინიციატივით, ორგანიზატორულ-ნოვატორული უნარითა და გაქანებით.

წარმოებაში ოსტატის როლის ამაღლება, ჩვენ სამეურნეო კადრებთან ერთად, მეტად სერიოზულ ამოცანებს აყენებს საქარხნო პარტიული ორგანიზაციების წინაშე. ოსტატი ყოველ წუთს უნდა გრძნობდეს, რომ მასთან არის მთელი საქარხნო პარტიული ორგანიზაცია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოსტატთა იდეურ-პოლიტიკური და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება ერთერთი პირველი რიგის და გადაუდებელი ამოცანაა.

ახლა, როდესაც საერთაშორისო ვითარება მეტად დაძაბულია, როდესაც ომის საფრთხე ყოველდღიურად იზრდება და ჩვენ მზად უნდა შევხვდეთ ყოველგვარ მოულოდნელობას, როდესაც ჩვენი სამშობლო მოითხოვს მეტ ლითონს, ნახშირს, ნავთს, თვითმფრინავს, ტანკს, ზარბაზანს, ორთქლმავალს, ვაგონს დაზგას, ავტომობილს, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მეტ პროდუქციას, როდესაც უკვე მოქმედებაშია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რვა საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებებიდან და დაწესებულებებიდან მუშა-მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ, განსაკუთრებით იზრდება წარმოებაში ოსტატის როლი. ოსტატმა მთლიანად უნდა გამოიყენოს სამუშაო დღის 480 წუთი, იგი დაუნდობლად უნდა ებრძოლოს წარმოების დეზორგანიზატორებს და მიაღწიოს თავისი უბნის მაღალ ნაყოფიერად მუშაობას.

ოსტატი უნდა გახდეს წარმოების სრულუფლებიანი ხელმძღვანელი, ოსტატს—ხელმძღვანელი როლი წარმოებაში!—ასეთია დადგენილების დედააზრი.

ეჭვი არ არის, საბჭოთა ოსტატები პრაქტიკული, საგმირო საქმეებით უპასუხებენ იმ მზრუნველობას, რომელსაც იჩენენ მათდამი პარტია, მთავრობა და პირადად დიდი **სტალინი**. ისინი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, კიდევ მეტი თავდადებითა და შეუპოვრობით იბრძოლებენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების უფრო განმტკიცებისათვის.

სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებისათვის მედლების გადაცემა

29 ივნისს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. **ს. ხოშტარიამ** ვერცხლის მედლები და ფულადი ჯილდოები გადასცა სოფლის მეურნეობაში მუშაობის საუკეთესო ნიმუშებისათვის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილებით საქართველოდან დაჯილდოვებულთა ერთ ჯგუფს, რომლებიც დამტკიცებულნი იყვნენ 1939 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებად და ამჟამად თბილისში იმყოფებიან.

ვერცხლის დიდი მედალი გადაეცა: საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს ვ. ღვალაძეს და გ. ჯაფარიძეს.

ამის შემდეგ ვერცხლის პატარა მედლები მიიღეს: ნ. ამაღლობელმა (საქმიწსახკომი), ი. ბახტაძემ (სას.-სამ. ინსტ.), გ. ბილანიშვილმა (საქმიწსახკომი), ალ. ბუჩუკურმა (საქმიწსახკომი), ვ. გულისაშვილმა (სას.-სამ. ინსტ.), ბ. ჯანელიძემ (საქმიწსახკომი), ირ. კავსაძემ (საქმიწსახკომი), ალ. კანდელაკმა (საქმიწსახკომი), ლ. ყანჩაველმა (მცენარეთა დაცვის თბილისის სადგური), ალ. ყვავილაშვილმა (თბილისის მე-23 სკოლის მოსწავლე, ნორჩი ნატურალისტი), ი. კოპინაშვილმა (საქმიწსახკომი), ი. ლომაურმა (სას.-სამ. ინსტ.), ვ. მირზაშვილმა (ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი), გ. ნაჭყებიამ (საქმიწსახკომი), შ. თედორაძემ (სას.-სამ. ინსტ.), ნ. ხომიზურაშვილმა (სას.-სამ. ინსტ.), ე. ცეცხვაიამ (საქმიწსახკომი), ვ. კაპანაძემ (საქმიწსახკომი).

დაჯილდოებასთან დაკავშირებით სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი ვალდებულებები აიღეს: ნ. ამაღლობელმა, ბ. ჯანელიძემ, ვ. გულისაშვილმა, ვ. ღვალაძემ, ა. ბუჩუკურმა და ა. ყვავილაშვილმა.

მათ პირობა დასდეს, რომ მაქსიმალურად გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას, დიდად გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას, მისცემენ სოციალისტურ სახელმწიფოს მეტ და მაღალხარისხოვან პროდუქციას, კეთილსინდისიერად შეასრულებენ თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

შეკრებაზე გამოსულთა სიტყვები არაერთხელ იქნა შეწყვეტილი ძლიერი ტაშით და მხურვალე მისალმებებით ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** და მისი საუკეთესო მოწაფის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. ბერიას** პატივსაცემად.

ჩაის ფოთლის დამზადება

„საქჩაის“ ცნობით 1 ივლისისათვის საქართველოში სეზონის დაწყებიდან მოკრეფილი იყო 19.357,9 ტონა ჩაის ფოთოლი, მაის-ივნისის გეგმის 98,4 პროცენტი. ივნისის გეგმა კი შესრულებულია 119,1 პროცენტით. ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (მახარაძის რაიონი) და ნარაზენის (ზუგდიდის რაიონი) ჩაის ფაბრიკების შესახებ მოცემულია 25 ივნისის მაჩვენებლები.

1 ივლისისათვის მაისისა და ივნისის გეგმები შესრულებული ჰქონდათ გალის, ოჩამჩირის, გუდაუთის, ჩოხატაურის, წულუკიძის, ქუთაისის, წყალტუბოს, ტყიბულის, ცხაკაიას, გეგეჭკორისა და ხობის რაიონებს.

ქობულეთის რაიონში მაისისა და ივნისის გეგმები შესრულებულია 91,8 პროცენტით, მახარაძეში — 95,7, ბათუმში — 97,8, სოხუმში — 84,4, ლანჩხუთში — 99,5, სამტრედიაში — 91,7, ზუგდიდში — 97, წალენჯიხაში — 95,5 და ჩხოროწყუს რაიონში — 98,7 პროცენტით.

1 ივლისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის მაისისა და ივნისის გეგმები შეასრულეს სალიბაურის, ჩაქვის, ლაითურის, ნასაკირალის, წულუკიძის, დიდი-ჭყონის, ნარაზენისა და აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობებმა, აგრეთვე აჭარის ასსრ ჩაის ტრესტის კუმბებმა.

ორთვიური გეგმა არ შეუსრულებიათ [illegible] საბჭოთა მეურნეობებმა.

სესხზე ხელისმოწერა გადავაქციოთ საბჭოთა პატრიოტიზმის დემონსტრაციად

სამშობლოსათვის, ჩვენი ქვეყნის ძლიერებისათვის

2 ივლისს, დილით, მუშაობის დაწყებამდე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა პროფესორ-ლექტორების, სტუდენტებისა და მუშა-მოსამსახურეების მიტინგი, რომელზედაც მოსმენილ იქნა ცნობა მესამე ხუთწლედის მესამე წლის სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. მიტინგს 700-მდე კაცი დაესწრო.

მესამე ხუთწლედის მესამე წლის სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება და სესხის გავრცელების პირობები მიტინგს გააცნო უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. დ. ყიფშიძემ. მომხსენებელი შეეხო მესამე ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის წინაშე დასმულ სამეურნეო-კულტურული მშენებლობის უდიდეს ამოცანებს, აგრეთვე ილაპარაკა ახლანდელი საერთაშორისო ვითარებისა და სოციალისტური ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სესხს.

მიტინგზე პატრიოტული, აღმაფრთოვანებელი სიტყვებით გამოვიდნენ პროფ. კ. ბაქრაძე, პროფ. ვ. კუპრაძე, დოც. კარბელაშვილი, ლექტორი ამხ. ნიჟარაძე, ფრიადოსანი სტუდენტი, სტალინის სახელობის სტიპენდიის კანდიდატი შ. მეღლაძე და სხვ. ისინი აღფრთოვანებით მიესალმნენ მთავრობის დადგენილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ. თვითეულმა მათგანმა სურვილი გამოსთქვა სესხზე ხელი მოაწერონ თითო თვის ხელფასის რაოდენობით. დამსწრენი ამ განცხადებას მხურვალე მოწონებით შეხვდნენ.

წარმატებით დაიწყო სესხის რეალიზაცია. დღის 4 საათისათვის სესხზე ხელისმოწერა უდრიდა 300.200 მანეთს. სესხზე ხელისმოწერა გრძელდება.

26 კომისრის სახელობის ქარხანაში

პირველ ივლისს საღამოს რადიოთი გადმოცემულმა ცნობამ ახალი სესხის გამოშვების შესახებ თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მუშებში უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა.

იმავე საღამოს დაიწყო ხელისმოწერა და 52 კაცმა სესხზე ხელი მოაწერა 22.240 მანეთის რაოდენობით.

გუშინ დილით გაიმართა ქარხნის პირველი ცვლის მუშების სახელდახელო მიტინგი.

სიტყვებით გამოსული მუშები ვ. ფარიზევი, გოგილაშვილი, მელაძე, ოსიპოვი და სხვები გამოხატავდნენ მუშების ერთსულოვან მოწონებას სესხის გამოსვლის გამო.

პირველ ორ დღეს ქარხანაში ახალ სესხზე 596 კაცმა ხელი მოაწერა 177.595 მანეთის რაოდენობით. ხელის მოწერა გრძელდება.

სანკულტურის თეატრში

2 ივლისს დილის 11 საათზე შესდგა სანკულტურის თეატრისა და სახლის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგი, მიძღვნილი მესამე ხუთწლედის მესამე წლის სესხის გამოშვებისადმი. საინფორმაციო სიტყვით გამოვიდა თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანგანყოფილების პარტბიუროს მდივანი ამხ. ლ. წულუკიძე.

რესპ. დამს. არტისტმა ამხ. ვ. ნინიძემ, აღნიშნა რა სესხის უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის თავდაცვაუნარიანობის განმტკიცებისათვის, ხელი მოაწერა ერთი თვის ხელფასზე 2.700 მანეთის რაოდენობით. მას მიჰბაძეს მსახიობებმა ამხ. შანშიაშვილმა, ხორავამ, წულუკიძემ, მ. მეძმარიაშვილმა, გ. პავლიაშვილმა, დ. მელიქიშვილმა, რესპ. სახ. არტ. მ. მდივანმა და ც. მეძმარიაშვილმა.

12 საათისათვის 56 კაცმა სესხზე ხელი მოაწერა 30.010 მანეთის რაოდენობით. ხელისმოწერა გრძელდება.

ახალი სესხის გამოშვებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ

(ცხაკაია, საკ. კორესპონდენტისაგან)

ცხაკაიას რაიონის მშრომლები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად განსაკუთრებული ენტუზიაზმით და აღფრთოვანებული გრძნობით შეხვდნენ სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებას მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ.

1 ივლისს, როგორც კი გადმოსცა რადიომ ეს სასიხარულო ცნობა, რაიონში მაშინვე ჩატარდა მშრომელთა მასობრივი მიტინგები. ამიერ-კავკასიისა და შავიზღვის რკინიგზის ცხაკაიას სადგურების მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე მგზნებარე სიტყვით გამოვიდნენ შ. ალანია, ჰ. ქაჩიბაია, ბ. ფინთურია, ტ. ნოდია და სხვები, რომლებიც ერთსულოვნად მიესალმნენ მთავრობის გადაწყვეტილებას რვამილიარდიანი სესხის გამოშვების შესახებ და სურვილი განაცხადეს სესხზე ხელი მოაწერონ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო ახალ სესხზე ხელისმოწერა და საღამოს 10 საათისათვის სესხზე ხელმოწერილი ჰქონდა 354 კაცს 76.870 მანეთზე.

სესხზე ხელის მოწერა ასევე დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა რაიონის სტამბა-რედაქციაში, კურორტ მენჯში, ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანაში, ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში, უშაფათის ჩაის ფაბრიკაში და სხვა წარმოება - დაწესებულებებში. ყველგან ერთსულოვნად აწერენ სესხზე ხელს ერთი თვის შემოსავლის რაოდენობით.

პირველ ივლისს, საღამოს 10 საათისათვის რაიონში ახალ სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 624 კაცს 156.000 მანეთზე.

ხელის მოწერა წარმატებით გრძელდება.

სესხზე ხელმოწერა წარმატებით მიმდინარეობს

(ლანჩხუთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

1 ივლისს, საღამოს 7 საათზე ლანჩხუთის რაიონის მშრომელებმა რადიოთი მოისმინეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება ახალი სესხის გამოშვების შესახებ.

ახალი სესხის გამოშვებას რაიონის მშრომლები ერთსულოვნად მიესალმნენ. სახელდახელოდ მოწყობილი მიტინგების ჩატარების შემდეგ დაიწყო სესხზე ხელმოწერა. ფოსტა - ტელეგრაფის თანამშრომლებიდან ამხ. ჩიჩუამ სესხზე ხელი მოაწერა 2 თვის ხელფასის რაოდენობით და შ. სიხარულიძემ თვე-ნახევრის ხელფასზე; ერთი თვის ხელფასის რაოდენობით კი—მენალარიშვილმა, პატარაიამ, კურდღელაშვილმა, ებრალიძემ და სხვ.

ერთი საათის განმავლობაში ახალ სესხზე აქ ხელი მოაწერეს 7655 მანეთის რაოდენობით. სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

სუფსა-ომფარეთის ნავთსაძიებოში ერთი თვის ხელფასის რაოდენობით სესხზე ხელი მოაწერეს სტახანოველებმა ქვიჩიძემ, მეგრელიძემ, ტუღუშმა, სიხარულიძემ და სხვ.

საღამოს 9 საათისა და 30 წუთისათვის რაიონში ხელმოწერილი იყო 42.095 მანეთზე. სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

ახალი სესხის დიდი წარმატება

ხარაგოული, 1 ივლისი. (საკ. კორ.). 1 ივლისს ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა რადიოთი შეიტყეს მთავრობის დადგენილება მესამე ხუთწლედის მესამე წლის სესხის გამოშვების შესახებ. გაეცნენ რა დადგენილებას სესხის გამოშვების შესახებ, რაიონის წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები. მშრომლები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ახალი სესხის გამოშვებას, რომელიც ემსახურება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ. მიტინგების დამთავრებისთანავე დაიწყო სესხზე ხელის მოწერა და ღამის 11 საათისათვის მან მიაღწია დაბაში 301 ათას მანეთს, ხოლო სოფლად 34 ათას მანეთს.

დიდი წარმატებით ჩატარდა სესხზე ხელის მოწერა [illegible] ფაბრიკაში. [illegible] 1 ივლისს საღამოს 10 საათისათვის [illegible] 70 ათას მანეთს [illegible].

სესხზე ხელის მოწერა წარმატებით გრძელდება.

მოლოტოვის სახელობის ფაბრიკაში

გუშინ, 2 ივლისს, დილის 7 საათზე, მუშაობის დაწყების წინ, თბილისის მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ფაბრიკაში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგი, მიძღვნილი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებისადმი მესამე სტალინური ხუთწლედის (მესამე წლის გამოშვება) სესხის გამოშვების შესახებ. მიტინგზე ახალი სესხის გამოშვების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. მურადოვი. მუშა-მოსამსახურენი ახალი სესხის გამოშვებას დიდი აღფრთოვანებითა და სიხარულით შეხვდნენ.

სესხის გამოშვებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს ფაბრიკის უფროსმა მედაზგემ ამხ. ს. ოსკანოვმა, სტახანოველებმა ა. მიქირჩიანმა, მ. პავლიაშვილმა, ი. ბუჯიაშვილმა და სხვ.

ფაბრიკაში დილის 9 საათისათვის სესხზე ხელისმოწერა უკვე 39.500 მანეთს უდრიდა. ხელის მოწერა გრძელდება.

ბათუმის მშრომლები ერთსულოვნად იწონებენ

(ბათუმი, საკ. კორ.)

ბათუმის მშრომლები აღფრთოვანებით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ. საღამოს შესდგა „გლავნეფტის“ მუშა - მოსამსახურეთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდნენ ოვანესოვი, ურუშაძე, სავიდი, კურჩიანი და სხვები. მათ განაცხადეს, რომ ისინი უდიდესი სიხარულით მიესალმებიან მთავრობის დადგენილებას სესხის გამოშვების შესახებ.

— ვაძლევთ რა სახელმწიფოს სესხად თითო თვის ხელფასს,—აცხადებდნენ ისინი,—ვამაყობთ, რომ ამით ხელს ვუწყობთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი სიძლიერის კიდევ უფრო განმტკიცებას. მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო ხელმოწერა. რამდენიმე საათში სესხზე ხელი მოაწერა 65 კაცმა 43 ათასი მანეთის რაოდენობით. მიტინგები ჩატარდა და სესხზე ხელმოწერა წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე ბათუმის ნავთსახდელ ქარხანაში, რკინიგზაზე, სარეწაო არტელებში. 1 ივლისის საღამოს 11 საათისათვის ქალაქში სესხზე ხელი მოაწერეს 250000 მანეთის რაოდენობით.

აღფრთოვანებული სიხარულით შეხვდნენ

(გურჯაანი, საკ. კორ.)

გურჯაანის რაიონის მშრომელები აღფრთოვანებული სიხარულით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას მესამე ხუთწლედის ახალი სესხის გამოშვების შესახებ. რადიოგადაცემის დამთავრებისთანავე ქალაქში შესდგა მუშა - მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი მიტინგები, სადაც ერთსულოვნად იწონებდნენ მთავრობის დადგენილებას. ფოსტის თანამშრომლებმა საღამოს 9 საათისათვის ყველამ მოაწერა ხელი ახალ სესხზე თითო თვის ხელფასის რაოდენობით.

მეცხრამეტე სალიანდაგო დისტანციის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სტახანოველი მჭედელი ლადო იმერლიშვილი, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ სიხარულით მივცემთ სესხს ჩვენს მთავრობას, რადგან ეს სესხი ისევ ხალხის ბედნიერებას ხმარდება“. მან იქვე მოაწერა ხელი სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ლადო პავლიაშვილი, მიხაკო ლოლიაშვილი, ნიკოლოზ კევლიშვილი და სხვები. მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო სესხზე ხელის მოწერა. სულ მოკლე ხანში სესხზე ხელი მოაწერა 59 კაცმა თითო თვის ხელფასის რაოდენობით. საღამოს 10 საათისათვის ქალაქში სესხზე ხელმოწერილი ჰქონდა 503 კაცს, 159095 მანეთის რაოდენობით.

უდიდესი სიხარულით შეხვდნენ აგრეთვე ახალი სესხის გამოშვებას რაიონის კოლმეურნეები. მიტინგები გაიმართა და ხელის მოწერა დაიწყეს სოფელ ურიათუბნის, კარდანახის, გურჯაანისა და სხვა კოლმეურნეობებში. სოფელ ურიათუბნის კოლმეურნეობის წევრმა ქულა არუთინოვმა ხელი მოაწერა სესხზე 100 მანეთის რაოდენობით და იქვე გადაიხადა. ნაღდი ფული 50-50 მანეთი შეიტანეს აგრეთვე მისი ოჯახის წევრებმა რუსიკო და ანიკო არუთინოვებმა.

სესხზე ხელის მოწერა წარმატებით მიმდინარეობს.

4.210 მანეთი ნაღდი ფული

(გურჯაანი, საკ. კორ.)

სოფელ გურჯაანის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრები დიდი ენტუზიაზმით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას მესამე ხუთწლედის სესხის გამოშვების შესახებ. 1 ივლისს, საღამოს 9 საათზე გამართულ მიტინგზე შეიკრიბა 78 კოლმეურნე. ისინი ერთსულოვნად იწონებდნენ მთავრობის დადგენილებას სესხის გამოშვების შესახებ და მოითხოვდნენ ხელმოწერის დაუყოვნებლივ ჩატარებას. მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო ხელის მოწერა. სესხზე ხელი მოაწერა კოლმეურნეობის ყველა 78 წევრმა, რომლებმაც იქვე ჩააბარეს 4210 მანეთი ნაღდი ფული. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დათა რაქვიაშვილმა სესხზე ხელი მოაწერა 150 მანეთის რაოდენობით, კოლმეურნე კატო ყიზილაშვილმა და ნინა ვარამაშვილმა 100 მანეთის რაოდენობით თვითეულმა, ალათი მინდორაშვილმა 50 მანეთის რაოდენობით.

სვანეთის მთებში

(ტელეფონით, საკ. კორ.)

ზემო-სვანეთის რაიონის მშრომლები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას მესამე ხუთწლედის მესამე წლის სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ.

2 ივლისს შესდგა მესტიის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგი, რომელმაც მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. გ. ადამიას ინფორმაცია ახალი სესხის გამოშვების შესახებ. მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო სესხზე ხელის მოწერა. ორი საათის განმავლობაში სესხზე ხელმოწერამ მარტო რაიონის ცენტრში, მესტიაში, 136.745 მანეთს მიაღწია.

სახელდახელო მიტინგები ასეთივე აღფრთოვანებით ჩატარდა „ინგუროქრომში“, სატყეო მრეწველობაში, საწარმოებსა და რაიონის ყველა სასოფლო საბჭოში. მუშა - მოსამსახურეები ერთსულოვნად აწერენ ხელს ერთი თვის ხელფასზე, ხოლო კოლმეურნეები და ინდივიდუალური მეურნეები—ორი-სამი კვირის შემოსავალზე.

რაიონში ხელისმოწერამ 262.580 მანეთს მიაღწია. ხელისმოწერა გრძელდება.

სესხზე ხელმოწერის პირველი დღის შედეგები

ორდენოსან საქართველოში წარმატებით მიმდინარეობს მესამე სტალინური ხუთწლედის (მესამე წლის გამოშვება) სესხზე ხელმოწერა. ქ. თბილისში, ავტონომიურ რესპუბლიკებში და იმ 23 რაიონში, საიდანაც საქართველოს შემნახველ სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველომ ცნობები მიიღო, პირველი დღის განმავლობაში სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენს 62.774.000 მანეთს. გასულ წელს კი ხელმოწერის თანხა პირველ დღეს ყველა რაიონში შეადგენდა 45.529.000 მანეთს.

სესხზე ხელის მოწერა დიდი წარმატებით მიმდინარეობს თბილისში. გუშინ ღამის 12 საათისათვის სესხზე ხელმოწერის თანხა თბილისში შეადგენდა 39.054.000 მანეთს, ანუ 14.567.000 მანეთით მეტს, ვიდრე გასულ წელს პირველი დღის განმავლობაში.

სესხზე ხელის მოწერა განსაკუთრებით დიდი წარმატებით მიმდინარეობს ქალ. ქუთაისში და ქუთაისის რაიონში. პირველ დღეს ქალ. ქუთაისის მშრომლებმა სესხზე ხელი მოაწერეს 5.165.000 მანეთის რაოდენობით. ეს მაშინ, როდესაც გასულ წელს ხელის მოწერის საბოლოო თანხა უდრიდა 4.526.000 მანეთს.

2 ივლისს ღამის 12 საათისათვის ქუთაისის რაიონში სესხზე ხელმოწერის თანხა 709.000 მანეთს შეადგენდა, გასულ წელს კი პირველ დღის რეალიზებული იყო 101.000 მანეთი.

ჩამოვიდა ლიტვის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ვ. კრევე-მიცკევიჩიუსი

1 ივლისს მოსკოვს ჩამოვიდა ლიტვის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ვ. კრევე-მიცკევიჩიუსი.

ბელორუსიის ვაგზალზე ბ-ნ კრევე-მიცკევიჩიუსს შეხვდნენ: სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. გ. პერვუხინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალტიისპირა ქვეყნების განყოფილების გამგე ამხ. ა. კ. ლისიაკი, ქ. მოსკოვის კომენდანტი, გენერალ-მაიორი ვ. ა. რევიაკინი და მოსკოვში მყოფი ლიტვის მისიის შემადგენლობა საგანგებო დესპანისა და სრულუფლებიანი მინისტრის ბ-ნი ნატკევიჩიუსის მეთაურობით.

ვაგზლის პერონი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ლიტვის დროშებით.

ლიტვის ვიცე-პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნი კრევე-მიცკევიჩიუსის მიღება ამხ. ვ. მოლოტოვის მიერ

ა. წ. 1 ივლისს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ლიტვის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი კრევე-მიცკევიჩიუსი.

მიღებას დაესწრო საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი.

საუბარმა ორ საათზე მეტს გასტანა.

გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობაზე დამთავრდა ლიანდაგის დაგება

გორი, 1 ივლისი (საქტესი). გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობაზე დამთავრდა რელსების დაგება მთავარ ლიანდაგზე.

გაძლიერებული ტემპით შენდება მტკვრის ხიდი; სწრაფად მიმდინარეობს აგრეთვე მუშაობა ამ ხიდის მისასვლელთა გასაკეთებლად.

○

სტალინირი, 1 ივლისი (საქტესი). გორი-სტალინირის რკინიგზის ხაზზე რელსების დაგების დამთავრების გამო, 29 ივნისს სტალინირში რკინიგზის ახლადაშენებულ სადგურთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

სიტყვა წარმოსთქვეს რელსის დამგებმა სტახანოველებმა გაზაშვილმა, როშჩინმა და სხვ.

სტალინირის მშრომელნი აღფრთოვანებით მიესალმნენ გზის მშენებელთ.

მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი მიტინგი თბილისის კალინინის სახელობის ქარხანაში. მარცხნივ—მიტინგზე სიტყვას ამბობს ქარხნის დირექტორი ამხ. ბ. სარქისოვი.
ფოტო ვ. გინზბურგისა

ინციდენტი რუმინეთ-უნგრეთის საზღვარზე

რომი, 1 ივლისი (საკდესი). როგორც სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს, ბუდაპეშტში გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ 30 ივნისს, 14 საათსა და 30 წუთზე, უნგრეთ-რუმინეთის საზღვართან მდებარე კურორტ ვისკის ერთერთი საზღვრისპირა საგუშაგოს უფროსი საინსპექციო შემოვლის დროს შეხვდა რუმინეთის პატრულს. რუმინეთის პატრულმა ჯერ ორჯერ, შემდეგ კიდევ სამჯერ გაისროლა თოფი. უნგრეთის პატრულმაც რამდენჯერმე გაისროლა და რუმინეთის პატრულს უკან დახევინა. არავითარი სხვა ცნობა ამ ინციდენტის შესახებ არ არის. უნგრეთის მთავრობამ პროტესტი განაცხადა ბუქარესტში და რუმინეთის მთავრობის ყურადღება მიაქცია არასასურველ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს უნგრეთის საზღვარზე რუმინეთის ჯარის გადმოსვლას.

ნიუ-იორკი, 1 ივლისი. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ბუდაპეშტში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ რუმინეთის საზღვრისპირა პატრულმა ფეკეტ-დიარმატის მახლობლად საზღვრის გადაღმა სროლით მოჰკლა სამი უნგრელი მოქალაქე. სააგენტო იუწყება აგრეთვე, რომ კარპატის იქითა უკრაინის საზღვარზე მოხდა შეტაკება რუმინეთისა და უნგრეთის საზღვრისპირა ჯარების ნაწილებს შორის. გაძლიერებით დადის ხმა, რომ დღეს, ღამით, უნგრეთში საყოველთაო მობილიზაციას გამოაცხადებენ.

უნგრეთმა ბრალად დასდო რუმინეთის ჯარს, რომ იგი საზღვრის გადაღმა ისროდა და პროტესტი განუცხადა რუმინეთს. დღეს ღამით უნგრეთის რკინიგზებზე მგზავრების გადაყვანა შესწყდება.

უნგრეთ-რუმინეთის საზღვარზე შეტაკებათა შესახებ გავრცელებული ხმების უარყოფა

ბერლინი, 2 ივლისი (საკდესი). როგორც საინფორმაციო ბიურო იუწყება, უნგრეთის დეპეშათა სააგენტო უარჰყოფს ცნობებს, თითქოს 30 ივნისს ღამით უნგრეთ-რუმინეთის საზღვარზე შეტაკება მომხდარიყოს.

რუმინეთის ხელისუფალთა ღონისძიებანი

ბერლინი, 2 ივლისი (საკდესი). როგორც ტრანსოცეანის სააგენტო იუწყება, „ბუქარესტში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ 1 ივლისიდან დედაქალაქის ქუჩები პატრულირებული იქნება სამხედრო რაზმების მიერ. მცხოვრებნი ვალდებული არიან მუდამ თან იქონიონ არა მარტო პირადობის დამამოწმებელი დოკუმენტები, არამედ სამხედრო ბილეთიც. პატრულები გამვლელთ გააჩერებენ და შეამოწმებენ მათ დოკუმენტებს, რათა გამოავლინონ ისინი, ვინც მობილიზაციას თავი აარიდა“.

რეზერვისტების გაწვევა უნგრეთში

ბერლინი, 2 ივლისი (საკდესი). როგორც ტრანსოცეანის სააგენტო იუწყება, „1 ივლისს უნგრეთში დამატებით გაიწვიეს ახალი ასაკის რეზერვისტები. ქუჩებსა და რკინიგზის სადგურებში შეიძლება ნახოთ დიდძალი გაწვეულნი. მაგრამ გუშინდელ საღამომდე ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება არ გამოქვეყნებულა“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ საფრანგეთში ახალი მთავრობის შექმნის შესაძლებლობის შესახებ

ნიუ-იორკი, 1 ივლისი (საკდესი). როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწეების აზრით, მალე, შესაძლებელია შეიქმნას „საფრანგეთის მთავრობა, რომელიც შემდგარი იქნება ერთი პარტიის წევრთაგან. უეჭველია, ამ პარტიას ნაციონალ - ლეიბორისტული პარტია ერქმევა. მის შემადგენლობაში შევლენ „საფრანგეთის სოციალური პარტია დე ლა როკისა“, დორიოს „სახალხო პარტია“, მსოფლიო ომის ყოფილი მონაწილენი — პერსანოს და პიშოს მომხრენი“. გაზეთი აღნიშნავს, რომ „მარკე და ლავალი უკვე ხელმძღვანელ როლს ასრულებენ პეტენის მთავრობაში. ლავალი, ალბათ, საგარეო პოლიტიკისა და საზავო მოლაპარაკების ხელმძღვანელი იქნება, ხოლო მარკე შინაგანი წყობილების რეორგანიზაციას მოჰკიდებს ხელს. შესაძლებელია აგრეთვე, რომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატის წევრი მარსელ დეა მალე პროპაგანდის მინისტრის თანამდებობას დაიკავებს საფრანგეთის მთავრობაში“.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ღონისძიებანი

ბერლინი, 1 ივლისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რადგანაც გაზეთები არ გამოდის, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი მარკე უკანასკნელი ამბების შემცველ დეპეშებს ყოველდღე გაუგზავნის ყველა ქალაქსა და კომუნას სახელმწიფოს ხარჯზე.

გენერალ დე გოლის პროცესი

ბერლინი 2 ივლისი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო იმოწმებს რა ფრანგულ გაზეთს „დეპეშ დე ტულუზს“, სწერს, რომ სამხედრო ტრიბუნალი შეუდგა გენერალ დე გოლის საქმის მოსმენას.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკი იუწყება:

„30 ივნისსა და 1 ივლისს გერმანიის ავიაციის უეცარი თავდასხმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ქვეითი ჯარის დამკვრელი ნაწილების გადმოსხმის შედეგად გერმანიის ჯარმა დაიკავა ინგლისის კუნძულები ჯერსი და გერნსი (ნორმანდიის კუნძულები) ლა-მანშის სრუტეში.

საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია ინგლისის 2 ყუმბარმშენი. ლამანშის რაიონში, ტორკვეის აღმოსავლეთით, 1 ივლისს დღისით გერმანიის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ინგლისის სანაპირო დაცვის საყარაულო გემზე. გემს ხანძარი გაუჩნდა. გერმანიის თვითმფრინავებმა განახორციელეს უიკის ნავსადგურის (ჩრდილოეთი შოტლანდია) წარმატებითი ბომბარდირება.

1 ივლისს ღამით გერმანიის თვითმფრინავები კვლავ თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის სანავსადგურო ნაგებობებს. ბრისტოლის ყურეში შემჩნეულ იქნა მრავალი ხანძარი და აფეთქება.

1 ივლისს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ჩრდილოეთ და დასავლეთ გერმანიის ქალაქებს და აგრეთვე კილს. ბომბარდირებამ უმნიშვნელო მატერიალური ზიანი გამოიწვია მოსახლეობაში. არიან მოკლულნი. ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 7 თვითმფრინავი. გერმანიის 3 თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა. 30 ივნისისა და 1 ივლისის განმავლობაში ჩამოგდებულია სულ 23 თვითმფრინავი.

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 2 ივლისი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება: „კირენაიკის (ლიბია) საზღვარზე იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს და დააზიანეს მოწინააღმდეგის მრავალი ჯავშნიანი ავტომობილი. ორი თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა. იტალიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა მოწინააღმდეგის ხომალდების ბადრაგს ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილში.

აღმოსავლეთ აფრიკაში ბომბარდირებულ იქნა ნავსადგურის ნაგებობანი და დეპო ბერბერაში.

მტრის თვითმფრინავები ცდილობდნენ მასაუას (ერიტრეა) ბომბარდირებას. ჩამოგდებულია სამი თვითმფრინავი.

მტრის თვითმფრინავებმა უშედეგოდ დაუშინეს ყუმბარა აუგუსტის ბაზას (სიცილია). ჩამოგდებულია მტრის ერთი თვითმფრინავი. სამოქალაქო მოსახლეობაში დაიჭრა სამი კაცი. ბომბარდირებამ უმნიშვნელო ზიანი გამოიწვია“.

ბრაუხიჩის ბრძანება

ბერლინი, 1 ივლისი (საკდესი). გერმანიის სააგენტო ტრანსოცეანი იუწყება, რომ გერმანიის არმიის მთავარსარდალმა ბრაუხიჩმა ბრძანება გასცა, რომლის თანახმად საფრანგეთის, ბელგიისა და ლუქსემბურგის დაკავებული ტერიტორიების მოსახლეობა ვალდებულია ჩააბაროს მთელი იარაღი და საომარი მასალა, რაც კი მას მოეპოება.

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ინგლისზე

ლონდონი, 2 ივლისი (საკდესი). ოფიციალურად ქვეყნდება, რომ წუხელ გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისის რამდენიმე პუნქტს. 9 კაცი მოკლულია და 20 დაჭრილი. ბრისტოლის ყურის მახლობლად ჩამოგდებულმა ყუმბარებმა უმნიშვნელო ზიანი გამოიწვიეს. ოთხი კაცი მსუბუქად დაიჭრა. გერმანიის ორი თვითმფრინავი ჩამოგდებულია.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 2 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 30 ივნისს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს გერმანიის სამხედრო ობიექტებს. ჰამბურგში დაიწვა ნავთსაცავები. დარმშტადტის რაიონში მრავალი აფეთქება მოხდა და ხანძრის კერები გაჩნდა. ოსნაბრიუკისა და ჰამის განმანაწილებელ სადგურებში ხანძარი გაჩნდა.

გენერალ დე გოლის განკარგულება

ლონდონი, 2 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ საღამოს გენერალმა დე გოლმა, რომელიც ინგლისის მთავრობამ ყველა იმ ფრანგთა ხელმძღვანელად სცნო, რომელთაც წინააღმდეგობის განგრძობა სურთ, ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მან ვიცე-ადმირალი მიუსელიე დანიშნა თავისუფალი საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლად. მის განკარგულებაშია რამდენიმე სამხედრო ხომალდი და ესკადრილია.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ვიცე-ადმირალი მიუსელიე 10 ივნისს ბორდოში იმყოფებოდა რწმუნებულად სამხედრო ქარხნებში, როცა გაიგო მომავალი დროებითი ზავის შესახებ. იგი დაუყოვნებლივ გაემართა ღამით პარიზს, სადაც ზომები მიიღო სამხედრო ქარხნებში საიდუმლო გეგმებისა და ნახაზების მოსასპობად, რაც იმან მოახერხა, სანამ გერმანელები ქალაქს მთლად ხელში ჩაიგდებდნენ. იგი პარიზიდან გაიქცა და მარსელამდე მიაღწია, სადაც შეაგროვა საზღვაო ოფიცრებისა და მეზღვაურების ჯგუფი და სამხედრო გემით ინგლისს გაემგზავრა.

ბოსის დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 2 ივლისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კალკუტელი კორესპონდენტი იუწყება, რომ „ინდოეთის ეროვნული კონგრესის ყოფილი თავმჯდომარე ბოსი დაპატიმრებულია ინდოეთის თავდაცვის კანონის საფუძველზე“.

სამუშაო დღის გახანგრძლივების კანონი ბულგარეთში

ბერლინი, 2 ივლისი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ბულგარეთის მთავრობამ კანონი გამოსცა, რომელიც ითვალისწინებს სამრეწველო საწარმოებში „სამუშაო დღის გახანგრძლივებას, თუ არაჩვეულებრივი ამბები მოხდა“.

გადასახადთა ტვირთი ფინეთში

ჰელსინკი, 1 ივლისი (საკდესი). როგორც გაზეთი „უუსი სუომი“ იუწყება მიმდინარე წლის თებერვალში მთავრობამ პროფესორ იუტილის მეთაურობით სპეციალური კომიტეტი დანიშნა ბრუნვის გადასახადის შემოღების კანონპროექტის შესამუშავებლად. ამჟამად კომიტეტმა მუშაობა დაამთავრა და 85 მუხლისაგან შემდგარი პროექტი წარადგინა. კომიტეტის აზრით, ამ გადასახადის შეცვლა ფინეთს თავიდან ააცილებს ინფლაციას, ვინაიდან ეს ღონისძიება სახელმწიფოს შემოსავლის მუდმივი წყარო იქნება. საერთოდ, აღებული გადასახადი ბრუნვის 10 პროცენტს არ გადასცილდება. საიმპორტო საქონელზე გადასახადი აღებულ იქნება 7 პროცენტის რაოდენობით. გაზეთი „სუომენ სოსიალიდემოკრატი“ მოწინავე სტატიაში ამ პროექტის შესახებ აცხადებს, რომ ეს გადასახადი პირველ რიგში ფართო მოხმარების პროდუქტებს აძვირებს, და ამიტომ, ამ გადასახადის შემოღების შედეგად, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის ღარიბი ფენები დაიჩაგრებიან.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში. ძიანსის პროვინციაში ამ უკანასკნელ დღეებში ბრძოლა გაჩაღდა ნანჩანის რაიონში. ჩინელთა რაზმებმა დაიკავეს ორი სოფელი, რომლებიც მდებარეობენ 35 კილომეტრზე ნანჩანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით. ჩინეთის ჯარის ნაწილი თავს დაესხა იაპონელთა აეროდრომს, რომელიც მდებარეობს ნანჩანის აღმოსავლეთით.

ჩინეთის ჯარმა, დაიკავა რა ორი პუნქტი უნინის სამხრეთით, 28 ივნისს შეტევა დაიწყო ქალაქზე, რომელიც იაპონელთა დიდ ბაზას წარმოადგენს ძიანსას პროვინციის ჩრდილოეთ - დასავლეთ ნაწილში. დაიწყო აქტიური მოქმედება პოიანხუს ტბის დასავლეთი ნაწილის გასწვრივ, ნანჩანის აღმოსავლეთით.

ძიანსუს პროვინციაში 27 ივნისს იაპონელთა რაზმმა იერიში მიიტანა ჩინელების პოზიციებზე შანსინდიანის მახლობლად (ნანკინის სამხრეთ-აღმოსავლეთით). ჩინელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. იაპონელთა რაზმმა, რომელსაც 300-მდე კაცი მოუკლეს, უკან დაიხია.

ჩინეთის დანარჩენ ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობები არ არის. 1 ივლისი (საკდესი).

ახალი ტიპის ნაზმატყლიანი ყოჩი

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ტრ. თოდრაძე

ფართოდ განვავითაროთ საქართველოს მერინოსი

პარტიამ და მთავრობამ კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ 1939 წლის 8 ივლისის დადგენილებით მოგვცეს გაშლილი პროგრამა მეცხოველეობის აღმავლობის, მისი გაუმჯობესებისა და მაღალი პროდუქტიულობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე ამხანაგმა **კ. ჩარკვიანმა** თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში 1938 წლის 1 იანვართან შედარებით ცხვრების სულადობის ზრდა შეადგენდა 32,4 პროცენტს. ამავე ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს ყველა პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების ყურადღება გაამახვილა მეცხოველეობის და მათ შორის მეცხვარეობის შემდგომი განვითარების საბრძოლო ამოცანებზე.

საქართველოს ცხვრის სულადობა ჯერ კიდევ უმთავრესად შესდგება თუშური ცხვრის ჯიშისაგან, რომელსაც, მართალია, ახასიათებს უაღრესად დიდი ამტანობა, შორს მანძილზე გადასვლის უნარი და სხვ., მაგრამ იგი, ისევე როგორც ადგილობრივი ძროხა ნაკლებად პროდუქტიულია. ნაზმატყლიანი ცხვრიდან კი მარტო მატყლის რეალიზაციით კოლმეურნეს შეუძლია წელიწადში მიიღოს 100 მანეთზე მეტი. ამიტომ პარტიამ და მთავრობამ ამოცანად დაგვისახეს გავადიდოთ თუშური ცხვრის შემოსავლიანობა წმინდამატყლიან ყოჩებთან მეტიზაციის გზით.

განსაკუთრებით 1936 წლიდან, საქართველოს ბოლშევიკებმა ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით მაგრად მოჰკიდეს ხელი მეცხვარეობის განვითარებას. ამ დროს მეტიზაციისათვის საქართველოში უკვე შემოყვანილი იყო ნაზმატყლიანი 2228 ყოჩი, რომლებიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის საგნად გადაიქცნენ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (დირექტორი ამხ. ს. ერქომაიშვილი) სერიოზულად მოჰკიდა ხელი ცხვრების მეტიზაციას, მის მეთოდიურ ხელმძღვანელობას. იგი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კერძოდ კი უდაბნოს საბჭოთა მეურნეობაში, სისტემატურად უწევს ხელმძღვანელობას და დახმარებას როგორც საჯიშე, ისე მთელი მეურნეობის საწარმოო ფარებში მუშაობას.

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ამხ. არჩილ ნატროშვილის მიერ ჩატარებულმა ცდებმა თუშური ჯიშის ცხვრის გაუმჯობესების საქმეში საუკეთესო შედეგები გამოიღო. ცნობილია, რომ ნაზმატყლიან ჯიშებს, როგორიცაა რამბულიე, პრეკოსი და სხვ., დუმა არა აქვთ. ჩვენებური თუშური ცხვრის დუმა კი ხშირად 5-6 კილოგრამს და მეტსაც იწონის. ცხვრის დუმას, გარდა იმისა, რომ იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ცხიმს და მას ადამიანი ფართოდ იყენებს, თვითონ ცხვრისათვის მეტად დიდი ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს სიმშილისა და წყურვილის ატანისათვის.

ამხ. ა. ნატროშვილმა მიზნად დაისახა მეტიზაციის საფუძველზე ჩატარებული კომბინირებით მიეღო ისეთი ცხვარი, რომელიც ყოველმხრივ რენტაბელური და მაღალშემოსავლიანი იქნებოდა საქართველოს მომთაბარე რაიონებისათვის, ე. ი. ახალ ჯიშს ექნებოდა თუშური ცხვრის დადებითი თვისებები: მაგარი ჩლიქები, შორს მგზავრობის უნარი და ალპიური საძოვრების გამოყენების საშუალება, მეტი სიმკვირცხლე, შედარებით პრიმიტიული პირობების ამტანობა, დიდი დუმა, მეტი და მაღალხარისხოვანი ხორცი და, რაც მთავარია, მერინოსისებური მატყლი.

შეიძლება ითქვას, რომ დასახული ამოცანის პირველი ნაწილი კარგადაა შესრულებული, სათანადო შედეგები მიღებულია. იმ დროს, როცა რამბულიეს ჯიშის ზრდადასრულებული მწარმოებლის ცოცხალი წონა უდაბნოს საბჭოთა მეურნეობაში საშუალოდ 50 კილოგრამს უდრის, ხოლო ჩვენებური თუშური ჯიშისა — 41,1 კილოგრამს, უდაბნოს საბჭოთა მეურნეობაში ახალი ჯიშის ყოჩები — 59,25 კილოგრამს აღწევენ. გარდა ამისა, ახალი ტიპის მწარმოებლებს, ნაცვლად თუშური ჯიშის მწარმოებლის მიერ წელიწადში საშუალოდ 3,1 კილოგრამი მატყლისა, შეუძლია მოგვცეს 3,63 კილოგრამი და მეტი მატყლის ნაპარსი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მატყლის ხარისხი, მისი მნიშვნელობა საფეიქრო მრეწველობისათვის ვარგისობის თვალსაზრისით. რამბულიეს ჯიშის მწარმოებლის მატყლის ბეწვის საშუალო სიგრძე 6,5 სანტიმეტრს უდრის, თუშური ჯიშის მწარმოებლისა — 13,8 სანტიმეტრს, მაგრამ ბეწვი უხეშია, ახალი ტიპის ცხვრის მწარმოებლის მატყლის სიგრძე კი — 7,25 სანტიმეტრს უდრის. ამავე დროს, ამ უკანასკნელის მატყლი თითქმის ისეთივე ნაზი და ელასტიურია, როგორც რამბულიეს ჯიშის მწარმოებლისა.

ახალი ტიპის ცხვრის დადებითი თვისებები მარტო აღნიშნულით როდი ამოიწურება. ახალი ტიპის ცხვარს მერინოსისებურ მატყლთან ერთად აქვს თუშური ცხვრის დუმა, მაგარი ჩლიქები, იშვიათი ამტანობა, სიმკვირცხლე და საერთოდ ყველაფერი ის, რაც მას წინ აყენებს როგორც რამბულიეს, ისე თუშური ჯიშის ცხვართან შედარებით. პარტიისა და ხელისუფლების დახმარების შედეგად, საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ უდაბნოს საბჭოთა მეურნეობაში გამოყვანილია ახალი ტიპის წმინდამატყლიანი ცხვრის 45 ყოჩი. მათ შორის 4-წლიანია 1, 2-წლიანი—7 და დანარჩენი კი — 1-წლიანები. აქვეა ამავე ტიპის 320-მდე სული დედაცხვარი.

— ახალი ცხვრის ტიპის მწარმოებლიდან მიღებული დუმიანი მეტისები,—აცხადებს ცნობილი მწყემსი მიხა ფილაური, — მერინოსთან შედარებით სიცივესაც უფრო იტანს და სიცხესაც. ჩლიქი და საერთოდ ფეხები ისეთი მაგარი აქვს, რომ ადვილად შეუძლია საზამთრო საძოვრებიდან გადასვლა საზაფხულო საძოვრებამდე და პირიქით, იშვიათად ავადდება, ძალიან მკვირცხლია და თითქმის ყოველგვარი პირობების ამტანი. ამავე დროს, მატყლი ძალიან ნაზი და მაღალხარისხოვანი აქვს.

ასეთივე აზრის არიან ახალი ცხვრის, ანუ, როგორც აქ მას ხშირად უწოდებენ, „საქართველოს მერინოსის“ შესახებ ძველი მეცხვარეები: შ. შოშიაშვილი, ილო მეტრეველი, 55 წლის განმავლობაში ცხვარში მომუშავე შ. მღებრიშვილი და სხვ. ქციის საზაფხულო საძოვრებზე ჩვენ ვნახეთ მეტიზირებული ცხვრის ფარა. აი, ბატკანი № 729. მისი დედა რამბულიეს მეტისი იყო. მასზე განაყოფიერებლად გაუშვეს ახალი ტიპის ცხვრის მწარმოებელი ნაზმატყლიანი ყოჩი. მიღებულ ბატკანს მატყლი ტიპიური მერინოსისა აქვს, რომლის სიგრძე (თვითეული ბეწვისა) 5 სანტიმეტრამდე აღწევს. ბატკანს ძალიან განვითარებული აქვს დუმა, ამავე დროს თავი, რქა და ფეხებიც თუშური ჯიშის ცხვრისა აქვს.

ავიღოთ ბატკანი № 601. მისი დედაც რამბულიეს მეტისი იყო. მასზე შეაჯვარეს დუმიანი და ნაზმატყლიანი ყოჩი. შედეგი განსაცვიფრებელია: ბატკანს დუმა ძალიან განვითარებული აქვს, მატყლი მერინოსის ტიპისაა. თვითონ ბატკანი მკვირცხლია და ღონიერი. ასევე საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს ახალი ტიპის ნაზმატყლიანი ყოჩიდან მიღებული თაობა № № 697, 675, 344, 277 და მრავალი სხვა. და ყოველივე ეს თვალნათლივ ადასტურებენ, რომ **„თუშური ცხვრის შემოსავლიანობის გადიდება შეიძლება და უნდა გავადიდოთ კიდეც წმინდა მატყლიან ყოჩებთან მეტიზაციის გზით“.** (ლ. ბერია).

პარტიამ და მთავრობამ შექმნეს ყველა პირობა მეცხვარეობის სწრაფი განვითარებისათვის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი საწარმოო აღმავლობაა. 1941 წლისათვის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის განგრძობის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებასთან დაკავშირებით კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობათა მუშები, სპეციალისტები ებმებიან სოცშეჯიბრებაში ახალ წარმატებათა უზრუნველსაყოფად. მაგალითად, ქციის მთაზე, შაინაბადაში და სხვ. საერთო კრებებზე მოწინავე კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობის მუშებმა ახალ კონკრეტულ ვალდებულებათა აღებასთან ერთად, როცა ეცნობოდნენ აღნიშნულ დადგენილებას, ერთსულოვნად განაცხადეს, რომ ისინი ყოველნაირად ეცდებიან არ დასთმონ თავიანთი პოზიციები. სოფლის მეურნეობის მოწინავეები კარგი მუშაობით გაიყოლიებენ დანარჩენ კოლმეურნეებს და საბჭოთა მეურნეობის მუშებს, დაეხმარებიან ჩამორჩენილებს მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი უნარი, 1940 წელს აღნიშნავენ ახალი გამარჯვებებით და იბრძოლებენ 1941 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის.

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტმა ახალი ნაზმატყლიანი, დუმიანი ცხვრების მიღებით, ცხადია, დიდი და სასარგებლო საქმე გააკეთა, მაგრამ ამ მიღწევებით დაკმაყოფილება არ შეიძლება. ინსტიტუტმა უპირველეს ყოვლისა უნდა მოაგვაროს მტკიცე საწარმოო ბაზის, შესაფერი საცდელი მეურნეობის მოწყობის საქმე, უფრო ფართოდ გაშალოს სასელექციო მუშაობა, გააუმჯობესოს და განამტკიცოს ახალი ტიპის ცხვრის პროდუქტიულობა, ხელი შეუწყოს აღნიშნული ცხვრების სწრაფად გამრავლება-გავრცელებას და კიდევ უფრო მტკიცედ დაუკავშირდეს კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებს და საბჭოთა მეურნეობებს.

საბჭოთა კომბაინის იუბილე

საბჭოთა კომბაინის გაჩენა გამოწვეული იყო იმ უღრმესი ეკონომიური და სოციალური ძვრით, რომელიც ჩვენი გლეხობის ცხოვრებაში მოხდა. კოლექტივიზაციამდე ერთპიროვნული წვრილი დაქუცმაცებული გლეხთა მეურნეობის პირობებში არ შეიძლებოდა კომბაინის გამოყენება. რევოლუციამდელ რუსეთში, სადაც მიწა მთელ სიგრძე-სიგანეზე სამანებით იყო დასერილი, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ხელით მუშაობა და უმარტივესი ცხენიანი ინვენტარი სჭარბობდა.

მეფის რუსეთში გლეხის მეურნეობაში შრომის ძირითად იარაღს წარმოადგენდა კავი, აჩაჩა, ხის გუთანი და ფარცხი, ხოლო ნათესთა უმეტესი ნაწილის მოსავლის აღება ცელითა და ნამგლით ხდებოდა. თუ რამდენად მექანიზებული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ამას ცხადჰყოფს ორი ციფრის შედარება: რუსეთის გლეხთა მეურნეობებში თვითეულ ჰექტარ ნათესზე მხოლოდ 6 მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანა და იარაღი მოდიოდა მაშინ, როდესაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ 1938 წლის დამდეგს მოდიოდა 65 მანეთისა—ათჯერ და უფრო მეტიც.

ცხადია, რომ ვიწრო, დაქუცმაცებული საგლეხო ნაკვეთებზე კომბაინის, ტრაქტორისა და სხვა თანამედროვე მანქანების გამოყენება არ შეიძლებოდა. ამას სავსებით ადასტურებს კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის პრაქტიკაც. ინტერესს მოკლებული არ არის კომბაინმშენებლობის და ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობაში კომბაინის გამოყენების ისტორია; ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ვიცით, ამ მანქანის სამშობლოა.

მარცვლეულის კომბაინის პატენტი პირველად განცხადებულ იქნა ამერიკაში 1828 წელს. მაგრამ ამ გამოგონებას განხორციელება არ ეღირსა, მანქანა არ გაუკეთებიათ. პირველი კომბაინი გაკეთდა მხოლოდ რვა წლის შემდეგ იქვე, ამერიკაში, მაგრამ რამდენადმე სერიოზული გამოყენება ამ მანქანას არ ჰქონია. ერთმა ამერიკელმა ფირმამ მხოლოდ 1890 წელს დაიწყო კომბაინების საქარხნო დამზადება. უზარმაზარი, უმეტესად ხის კომბაინები ცხენებითა და ჯორებით მოჰყავდათ მოძრაობაში. თვითეულ მანქანას ოცი უღელი ცხენი სჭირდებოდა, ვინაიდან კომბაინის წონა 900 ფუთს აღწევდა.

1907 წელს ჰოლტის ფირმამ გამოუშვა შიდაწვის ძრავიანი კომბაინი. ამ მანქანას მხოლოდ ფერმერთა ყველაზე დიდ მეურნეობებში იყენებდნენ. 1929 წლისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში კომბაინთა ყოველწლიური გამოშვება აყვანილ იქნა 37 ათას ცალამდე. მაგრამ კომბაინმშენებლობის ეს აყვავება ძალიან ცოტახანს გაგრძელდა. უსასტიკესმა კრიზისმა, რომელმაც შეარყია კაპიტალისტური სისტემა, კომბაინების წარმოებაშიც იჩინა თავი. 1933 წელს მათი გამოშვება 300 ცალს ღა უდრიდა მაშინ, როდესაც ჩვენში ამ წელს გამოშვებულ იქნა 8.500 კომბაინი.

შემდგომ წლებში ამერიკის კომბაინის მრეწველობა ოდნავ გამოცოცხლდა, მაგრამ ამ მანქანებს ნაკლებად იყენებენ.

კომბაინები ფერმერთა მეურნეობების მხოლოდ 1 პროცენტს აქვს.

კომბაინი სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში კიდევ უფრო ნაკლებად არის გავრცელებული, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ევროპის ქვეყნებში თითო-ოროლა კომბაინი მოიპოვება.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტურმა მეურნეობამ უდიდესი მოთხოვნილება წარუდგინა ამ სრულყოფილ მანქანას და ფართო გზა გაუხსნა მას საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ყანებში.

კომბაინების გამოშვებას ჩვენ მხოლოდ 1930 წელს შევუდექით, როდესაც საბჭოთა ქარხნებში პირველად იქნა აწყობილი 347 კომბაინი ჩვენივე მასალით.

1931 წელს მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე 3.548 კომბაინი მიიღეს, 1932 წელს — 10.010, ხოლო 1937 წელს კომბაინის გამოშვებამ 44 ათას ცალს მიაღწია. 1931 წლიდანვე, ქარხანა „კომუნარს“ გარდა, კომბაინის გამოშვებას იწყებს ქარხანა „როსტსელმაში“, იმავე წელს იწყებს მუშაობას სარატოვის კომბაინის ქარხანა, 1936 წლიდან „ჩრდილოეთის კომბაინების“ კეთებას შეუდგა ლიუბერეცკის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა.

კაპიტალისტურ მეურნეობას, ამერიკის მეურნეობასაც კი, ათეული წლები დასჭირდა სოფლის მეურნეობაში მოსავლის ასაღები მსხვილი მანქანის ასათვისებლად და დასანერგად. საბჭოთა კავშირმა სულ მხოლოდ რამდენიმე წელი მოანდომა იმას, რომ არა მარტო შექმნა თავისი ორიგინალური კონსტრუქცია კომბაინისა, არამედ ფართოდ დაინერგა იგი სოფლის მეურნეობის წარმოებაში, როგორც მოსავლის ასაღები ძირითადი მანქანა.

1935 წელი, როდესაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში უკვე 30 ათას კომბაინზე მეტი ითვლებოდა, ჩვენში თავისებური მობრუნების წელი იყო კომბაინის გამოყენებისა და კომბაინმშენებლობის განვითარების საქმეშიც. 1935 წლის დამლევს შესდგა სსრ კავშირის კომბაინერთა და კომბაინერ-ქალთა დაუვიწყარი თათბირი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წევრებთან ერთად. ამ თათბირზე ამხანაგმა **სტალინმა** დაასაბუთა, რომ ჩვენს ქვეყანაში საჭიროა მარცვლეულის წარმოების გადიდება 7-8 მილიარდ ფუთამდე ყოველწლიურად და განსაკუთრებული სიზუსტით დაახასიათა კომბაინის როლი და მნიშვნელობა.

„განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომბაინებსა და კომბაინერებს, — ამბობდა ამხანაგი სტალინი. — თქვენ იცით, რომ ყველაზე პასუხსაგები საქმე მარცვლეულის მეურნეობებში მოსავლის აღებაა. მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. დროზე აიღებ—მოიგებ, დააგვიანებ მოსავლის აღებას—წააგებ. კომბაინის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვეხმარება დროზე ავიღოთ მოსავალი. ეს ფრიად დიდი და სერიოზული საქმეა, ამხანაგებო“.

ამხანაგმა **სტალინმა** აღნიშნა აგრეთვე კომბაინის გამოყენების კიდევ ერთი მეტად დიდი უპირატესობა—ის, რომ კომბაინით მოსავლის აღების დროს მცირდება დანაკარგი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როგორც გამოთვლა გვიჩვენებს, სამკელ-სათიბი მანქანით მოსავლის აღების დროს მარცვლის დანაკარგი 20-25 პროცენტს შეადგენს, მოსავლის კომბაინით აღების დროს მარცვლის დანაკარგი მინიმუმამდეა დაყვანილი.

ეს 1935 წელს ითქვა და 1936 წელს უკვე საბჭოთა კავშირის ყანებს 65.700 კომბაინი მოეფინა, ხოლო 1938 წელს—დაახლოებით 140 ათასი. 1937 წელს კომბაინი ჩვენი ქვეყნის მრავალი რაიონისათვის მოსავლის ასაღები ძირითადი მანქანა გახდა: კომბაინით აღებულ იქნა მთელი მარცვლეულის ნათესთა 39 პროცენტზე მეტი. მაგრამ კომბაინის გამოყენება ამით როდი განისაზღვრება. კომბაინის პარკის ზრდა ჩვენს ქვეყანაში გრძელდება. დიდდება ის ფართობებიც, სადაც მოსავალს კომბაინით იღებენ. წელს, მაგალითად, 160 ათასი კომბაინი აიღებს მთელი მარცვლეულის მოსავლის ნახევარს და მზესუმზირას მთელი ნათესების 4/5 და მეტსაც.

ჩვენში ახლა დიდძალი რაიონებია, სადაც მოსავლის აღება მთლიანად კომბაინით ხდება, ხოლო უბრალო ინვენტარით ცელავენ ყანის განაპირა კუთხეებს, სადაც კომბაინი ვერ იმართება. ეს ცოტაა. ჩვენში არის მთელი მხარეები და ოლქები, სადაც ნათესების დიდ უმეტესობას მხოლოდ და მხოლოდ კომბაინით იღებენ. ზაპოროჟიეს ოლქში შარშან კომბაინით აიღეს მარცვლეულის მთელი ფართობის 94 პროცენტი, ყირიმში — 92 პროცენტი, როსტოვის ოლქში — 87 პროცენტი, დნეპროპეტროვსკისაში — 86 პროცენტი, ნიკოლაევის, ოდესის, სტალინგრადისა და სარატოვისაში — 80-ზე მეტი პროცენტი, ალტაის მხარესა და ომსკის ოლქში — 70 პროცენტი.

მაგრამ საქმე მარტო ის როდია, რომ ჩვენში მინდვრად მუშაობს ასე დიდძალი კომბაინები და ისოდენ დიდი ფართობების მოსავალს იღებენ. მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ შექმნა კომბაინის ნაყოფიერების გადიდების უფართოესი პერსპექტივები. საბჭოთა კავშირმა კომბაინის წარმოებაში ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას გაუსწრო და კომბაინის გამოყენების საქმეშიც პირველი ადგილი დაიკავა. 1935 წელს, მაგალითად, თვითეული კომბაინით ჩვენში საშუალოდ კავშირში 256 ჰექტარი მოსავალია აღებული მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მთელი რიგი წლების განმავლობაში საშუალო გამომუშავება კომბაინზე 230 ჰექტარს არ აღემატებოდა. 1937 წელს გამომუშავება ჩვენში 317 ჰექტარამდე ავიდა, ხოლო თუ 1935 წელს ისეთი მტს-ების რიცხვი, სადაც თვითეულმა კომბაინმა 400 - 500 ჰექტარი გამოიმუშავა, 207 უდრიდა, 1937 წელს 557-დე გადიდდა. 1940 წლის გამოფენის მონაწილე კომბაინერთა რიცხვის ზრდა გვიჩვენებს, რომ იმ მტს-ების რაოდენობა, რომლებმაც უფრო დიდ გამომუშავებას მიაღწიეს 1939 წლის საშუალო გამომუშავებასთან შედარებით, მნიშვნელოვნად გადიდდა.

კომბაინების ნაყოფიერების გადიდების უდიდეს რეზერვებს მოწმობს მოწინავე კომბაინერთა გამოცდილება. პარტიის XVIII ყრილობაზე გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ანდრეევი, რომელიც სპეციალურად შეჩერდა კომბაინერი ძმების ოსკინების მუშაობაზე.

„ძმების ოსკინების აგრეგატმა (ორი კომბაინის „სტალინეცის“ გადაბმა) — ჩკალოვის ოლქში—მაშინ, როდესაც ოლქში საშუალო გამომუშავება კომბაინზე 378 ჰექტარს უდრის, სეზონის განმავლობაში აიღო 5.238 ჰექტარი მოსავალი, არც მეტი არც ნაკლები, ე. ი. იმდენი, რამდენიც ამ ოლქში აიღო 14 კომბაინმა,—სთქვა ამხ. ანდრეევმა.

ხოლო თუ შევადარებთ, რამდენი კაცი და ცხენი დასჭირდებოდა ამ მოსავლის აღებას, გამოდის, რომ ოსკინებმა ორი კომბაინით მუშაობით შესცვალეს 1.637 კაცი, 373 ცხენი, 25 სამკელი, 25 სალეწი, 25 სანიავებელი, 40 სახარისხებელი, ხოლო ხელით აღების დროს, როგორც წინათ ხდებოდა, ამას 3.323 კაცი დასჭირდებოდა“.

რა თქმა უნდა, ძმების ოსკინებისა და ბორინისთანა კომბაინერები ჩვენში ჯერ ბევრი არ არიან, მაგრამ მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე ათასობით ითვლებიან ისეთი კომბაინერები, რომელთა გამომუშავება 2-3-ჯერ და მეტადაც აღემატება ერთი კომბაინის საშუალო სასეზონო გამომუშავებას.

ამ ადამიანთა გამოცდილება მეტად ჭკუის სასწავლია. ამ ადამიანებმა ზედმიწევნით შეისწავლეს მანქანა, შეიყვარეს იგი, გულმოდგინედ და სიფრთხილით უვლიან, არანაკლებ გულმოდგინედ ემზადებიან იმ ყანების მოსავლის ასაღებად, სადაც მათ მუშაობა უხდებათ.

მალე ახალი მოსავლის აღება დაიწყება. მოსავლის აღების პირველი დღიდანვე მწყობრში უნდა ჩადგეს უკლებლივ ყველა კომბაინი! ეს მილიონობით ფუთ პურს შეუნარჩუნებს ჩვენს ქვეყანას. უნდა გვახსოვდეს ამხანაგ **სტალინის** სიტყვები:

„მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს“.

ვ. ბელიკოვი

განთავისუფლებული ხალხის სიხარული 10 ათასიანი მიტინგი ქ. ბელცში

ბელცი (ბესარაბია), 1 ივლისი (საკდესი). ქალაქ ბელცს არასოდეს არ უნახავს ასეთი ზეიმი, ასეთი მხიარულება. სადღესასწაულოდ მორთულნი მოდიოდნენ გუშინ მცხოვრებნი ცენტრალურ მოედანზე. მკერდზე წითელი ბანტი ჰქონდათ გაკეთებული. საღამოს ექვსი საათისათვის მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. ათი ათასი მშრომელი, რომლებმაც პირველად ამოისუნთქეს თავისუფლად 22 წლის მონობის შემდეგ, ბესარაბიის განთავისუფლებისადმი მიძღვნილ მიტინგზე შეიკრიბა. ყველას ბედნიერი, სიხარულით გაბრწყინებული სახე აქვს. მოვიდნენ დედები, რომელთაც ხელში ეჭირათ ბავშვები. მოედანზე ერთი წუთითაც არ სცხრება მხიარული გუგუნი. ხალხი ესალმება წითელი არმიის მეომრებსა და მეთაურებს. გამარჯვებას უსურვებენ ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, დიდ სტალინს. გრიალებს „ვაშა".

მიტინგს ხსნის ბატალიონის კომისარი პოპოვი.

— ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ნებასურვილით,— ამბობს იგი,—წითელმა არმიამ თქვენ, ჩვენი ძმები, გაგათავისუფლათ რუმინელი ბატონების უღლისაგან.

ამ სიტყვებს ათასობით მოქალაქის აღფრთოვანებული შეძახილი ჰფარავს.

ზედიზედ გამოდიან ტრიბუნაზე ჯალატოზები, შაქრის მრეწველობის მუშები, მკერავები, დურგლები. ყველას სურს გამოთქვას გრძნობა, რომლითაც დღეს აღსავსეა ბესარაბიის მშრომელთა გული.

ლაპარაკობს ახალგაზრდა ქალიშვილი მარუსია სუბოტინა. იგი პირველად გამოდის ასეთი აუდიტორიის წინაშე. მაგრამ სიხარული მგზნებარეს, ამაღელვებელს ხდის მის სიტყვას:

— ჩვენ მოგელოდით, დიადი საბჭოთა ხალხის მიერ წარმოგზავნილნო! დღეები, რომლებსაც ჩვენ ახლა განვიცდით, — უბედნიერესია ჩვენს ცხოვრებაში. გმადლობთ, ბოლშევიკების პარტიავ, გმადლობთ, საბჭოთა ხალხო, გმადლობთ, მშობლიურო სტალინ!

ახალი საბჭოთა მოქალაქეების სიამაყე, განმანთავისუფლებლებისადმი მადლობა გაისმოდა მიტინგზე გამოსული თხუთმეტი ორატორის სიტყვაში. თავიანთი გრძნობები, სასოება და იმედები მიტინგის მონაწილეებმა გამოხატეს ამხანაგი სტალინისა და მოლოტოვისადმი გაგზავნილ მისალმებაში. ამ მისალმებაში განთავისუფლებული ხალხი უდიდეს მადლობას გამოსთქვამს ძმური დახმარებისათვის, ერთგულებას აღუთქვამს ლენინ - სტალინის პარტიის საქმეს და აცხადებს, რომ მზად არის საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრულ ოჯახში აშენოს ახალი ცხოვრება.

მიტინგის შემდეგ აქვე მოედანზე, ქალაქის ყველა ქუჩაში დაიწყო სახალხო სეირნობა. გაისმა საუცხოო უკრაინული სიმღერები. ახალგაზრდობა ცეკვავდა, თამაშობდა. მხიარულება ნაშუაღამევამდე გაგრძელდა.

საბჭოთა ბუკოვინაში

ჩერნოვიცი, 1 ივლისი (საკდესის სპეც. კორ.) საბჭოთა ბუკოვინის გზებით დღედაღამ დაუსრულებელ ნაკადად მოედინება მძლავრი ტექნიკით აღჭურვილი წითელი არმია. მოდიან ქვეითი ჯარის პოლკები, მოჰქრიან კავალერისტები, მოემართებიან სახმელეთო სიმაგრენი—ტანკები და ჯავშნიანი ავტომობილები. ცაში კი მებრძოლი საჰაერო ხომალდები დასრიალებენ.

განმათავისუფლებელ არმიას მშობლიურ დედასავით ხვდებიან. უხარიათ წითელი მეომრების მოსვლა, ყველას მხურვალედ ესალმებიან, ყვავილებს აყრიან...

მდინარე პრუტის ნაპირზე, მაღალ ხიდთან, კავალერისტთა კოლონას ხვდება დიდძალი გლეხობა. ხიდზე გამოდის ქალი, რომელსაც დროისაგან გაცვეთილი ტილოს პერანგი აცვია. იგი მუხლებზე ეშვება, ხელს გულზე მიიდებს, დაბლა უკრავს თავს მათ.

— ძვირფასო ამხანაგებო, ჩემო ძვირფასნო...—წაილუღლუღა ქალმა და აქვითინდა.

კოლონა შეჩერდა. მებრძოლი ცხენიდან ჩამოხტა, ქალი ფეხზე ააყენა. ქალი ტირილს განაგრძობს და ცდილობს ხელზე ეკოცოს წითელარმიელს. მებრძოლი თავაზიანად მოიცილებს მას, გიმნასტურიდან ჩამოიხსნის მინანქრის ნიშანს ამხანაგ სტალინის პორტრეტითურთ და აწვდის:

— აი, ვის უნდა უმადლოდე!

ქალი იღებს ნიშანს, როგორც ძვირფას საჩუქარს, და ემბორება მას.

კავალერისტები უკვე დიდი ხანია თვალს მიეფარნენ, ქალი კი კიდევ დიდ ხანს დგას ხიდზე და გულში იხუტებს ბელადის პორტრეტს.

შემდეგში ჩვენ გავიგეთ ამ ქალის ისტორია. იგი არის განნა ტადერუკი—პრუტთან მდებარე სოფელ დუბოვცის გლეხი ქალი. მრავალ წელს მოჯამაგირედ იყო ქმართან ერთად, სანამ მათ ძროხა არ შეიძინეს; მაგრამ რუმინელი ბატონების ოფიცრებმა მობილიზაციის წესით ძროხაც კი წაართვეს ღარიბ ტადერუკებს. განნა საარსებო საშუალებებს მოკლებული დარჩა და სასოწარკვეთილი ცდილობდა თავი დაეხრჩო. წითელმა არმიამ მას დაუბრუნა სიცოცხლე, დაუბრუნა სიცოცხლის სიხარული, რომელიც მისთვის დღემდე უცნობი იყო.

დროებითი სასოფლო კომიტეტი

სოფელი ტოლმაჩი (ბესარაბია), 1 ივლისი (საკდესი). აქ ჩამოვიდა მოლდავეთის ავტონომიური სსრ სლობოძეის რაიონის კოლმეურნეთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფი. გლეხები პურ-მარილით შეხვდნენ ძვირფას სტუმრებს. გუშინ გაიმართა მიტინგი, რომელსაც 800 გლეხი და მოსამსახურე დაესწრო. სიტყვა წარმოსთქვეს მოჯამაგირემ იოსებ კუკოლმა, გლეხმა ბარკარმა, მოსამსახურემ სმირნოვმა და სხვებმა. ისინი გულმხურვალედ მიესალმნენ ბოლშევიკების პარტიას და საბჭოთა მთავრობას, წითელ არმიას, ხალხთა ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს. ძვირფასი სახელის ხსენებისას დიდხანს ჰქუხდა ტაში და „ვაშას" შეძახილი.

მიტინგის შემდეგ გლეხებმა 15 კაცისაგან აირჩიეს დროებითი კომიტეტი. საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირველად ჩაბმულ იქნენ ქალები; ზოგიერთი მათგანი არჩეულია კომიტეტში. კომიტეტის წევრები სოფლის საუკეთესო ადამიანები არიან, რომელნიც რუმინელი ბატონების საზიზღარი უღლის წინააღმდეგ იბრძოდნენ. კომიტეტის წევრებს შორის არის მოჯამაგირე ანტონ ოდოროჟა. არალეგალური პოლიტიკური მუშაობისათვის იგი 8 წელიწადს იტანჯებოდა საპატიმროს ჯურღმულებში. ახლა იგი 52 წლისაა.

— მე უკვე დიდი ხანია მოხუცად ვთვლიდი თავს,—ამბობს იგი,—ახლა კი ვიგრძენი, რომ არასოდეს არ ვყოფილვარ ისე ახალგაზრდა, როგორც ბესარაბიელი ხალხის განთავისუფლების ამ ისტორიულ დღეებში.

მშობლიური მოსკოვის ხმა

ატაკი (ბესარაბია), 1 ივლისი (საკდესი). გუშინ დამთავრდა მოგილიოვ-პოდოლსკ-დაბა ატაკის რადიოსატრანსლაციო ხაზის მოწყობა. საღამოს 7 საათზე დაბის ქუჩებში ჩართულ იქნა 5 მძლავრი რეპროდუქტორი. დაბის ადგილობრივმა მცხოვრებლებმა პირველად გაიგონეს მშობლიური მოსკოვისა და კიევის ხმა. რეპროდუქტორებთან თავს იყრის ასობით გლეხი. საღამოს 10 საათზე ვეებერთელა მოედანზე აჩვენეს საბჭოთა კინო-ფილმი „მდიდარი საცოლე". იგი ორი ათასზე მეტმა მაყურებელმა ნახა.

განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, ვიმუშაოთ სრული დატვირთვით

კიდევ უფრო გავაძლიეროთ საბჭოთა სამშობლო

საბჭოთა ხალხის ნებასურვილით მიღებული ახალი კანონი 8 საათის სამუშაო დღის, 7-დღიანი კვირის შემოღების და შრომის დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ, სავსებით დროულია და მისასალმებელი. ისე, როგორც მთელი ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის მშრომელთა შორის, ქუთაისის ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა შორისაც, მთავრობის ამ ღონისძიებებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვეს.

ბრძანებულების გატარების პირველსავე დღეს შემცირდა სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევები (28 ივნისს მხოლოდ ორმა მუშამ დაიგვიანა 5-10 წუთით), ხოლო მესამე დღეს—29 ივნისს გაცდენა-დაგვიანების არცერთი შემთხვევა არ ყოფილა.

8-საათის სამუშაო დღეზე და 7-დღიანი სამუშაო კვირაზე გადასვლის ფაბრიკის კოლექტივის წინაშე მეტად საინტერესო კითხვა დადგა —რას მისცემს ფაბრიკა სახელმწიფოს ასეთი ღონისძიებების გატარებით?

ამ კითხვაზე პასუხი გარკვეულია: 26 ივნისის ბრძანებულების გამოქვეყნებამდე ჩვენი ფაბრიკა დღეში საშუალოდ 24.200 მანეთის მზა პროდუქციას იძლეოდა. 8-საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შემდეგ კი ფაბრიკა ყოველდღე საშუალოდ იძლევა 27.650 მანეთის პროდუქციას, ანუ 3.450 მანეთით მეტს. ჯერ ერთი—ეს იმას ნიშნავს, რომ ფაბრიკის თვითეული მუშის ყოველდღიური საშუალო გამომუშავება, 1926-27 წ. უცვლელ ფასებში, ნაცვლად 30 მან. და 40 კაპიკისა, 34 მან. და 75 კაპიკამდე გაიზარდა, მეორეც—ყოველდღე ზედმეტი ერთი საათის მუშაობით და 7-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლით ფაბრიკა ყოველ თვეში ქვეყანას მისცემს დაახლოებით 114.000 მანეთის დამატებითს საწარმოო პროდუქციას, ხოლო 1940 წლის ბოლომდე,—6 თვეში,—684 ათასი მანეთისას.

26 და 28 ივნისს ფაბრიკაში შემდგარ მიტინგებზე, როცა პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მიმართვას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ვიხილავდით, ფაბრიკის მთელმა კოლექტივმა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე ერთხმად დასდო პირობა მტკიცედ გაატაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის 26 ივნისის ისტორიული გადაწყვეტილებანი, იმუშაოს ისე კარგად, ისე ბეჯითად, როგორც არასოდეს, მთელი ძალღონე მოახმაროს ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას და წლის ბოლომდე დამატებით მისცეს სახელმწიფოს სულ მცირე 684 ათასი მანეთის პროდუქცია.

ეს პირობა სასახელოდ იქნება შესრულებული.

ვ. კვატაშიძე

ქუთაისის კიროვის სახ. სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი.

დავსაჯოთ კანონის დამრღვევნი

(გორი, „კომუნისტის" კორესპ.)

27 ივნისიდან ძალაში შევიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულება რვა-საათიან სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ. ამ კანონის თანახმად მუშაობენ გორის რაიონის სახელმწიფოებრივი, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმო-დაწესებულებები. მაგრამ კანონი მეტად თავისებურად გაიგეს გორის ჯანმრთელობის განყოფილებისა და გორის საავადმყოფოს ხელმძღვანელებმა. 28 ივნისს გორის ჯანმრთელობის განყოფილების ხელმძღვანელებმა გ. გვერდწითელმა და მ. გიორგაძემ წერილობითი ბრძანებით დააწესეს შვიდსაათიანი სამუშაო დღე პოლიკლინიკის, ვენდისპანსერის, ტროპიკული სადგურის, დედათა და ბავშვთა კონსულტაციის, ჯანმრთელობის პუნქტის, ლაბორატორიებისა და სოფლის ქსელის დაწესებულებათა მოსამსახურეებისათვის. ასევე 7-საათიანი სამუშაო დღე დააწესა ექიმებისა და ექიმის თანაშემწეებისათვის გორის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ნინო ზაზუნაშვილმა. 28-29 ივნისს აღნიშნულ დაწესებულებებში 8 საათის ნაცვლად მხოლოდ 7 საათს იმუშავეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებაში გარკვევითაა აღნიშნული, რომ გადიდებულ იქნას სამუშაო დღის ხანგრძლივობა „6-დან 8 საათამდე დაწესებულების მოსამსახურეებისათვისო". ეს კანონი უხეშად იქნა დარღვეული.

ქალ. გორში მომუშავე 32 ექიმს და 11 ექიმის თანაშემწეს შეთავსება აქვს. საკითხავია, ეს ხომ არ ჰქონდა მხედველობაში ზაზუნაშვილს, გიორგაძეს და გვერდწითელს, როცა ბრძანებებს სწერდნენ. მათ 8-საათიანი სამუშაო დღის კანონი დაარღვიეს, ახლა კი გაიძახიან — შევცდითო. საგულისხმოა, რომ ამის შესახებ გაგებული აქვთ რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს, მაგრამ არის იმის ცდა, რომ საქმე შინაურულად მოაგვარონ.

სიტყვა პროკურატურას ეკუთვნის.

* * *



უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეობის პირველი ფერმის მუშაკები ქციის მთაზე (ბორჯომის რაიონი) ეცნობიან პარტიისა და მთავრობის დადგენილებას სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის 1941 წელს განგრძობის შესახებ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ძალების დაუზოგავად ვიმუშავებთ სამშობლოს საკეთილდღეოდ

აკარმარა, (საქდესი). მაღაროელები, მშენებლები, მოსამსახურენი ერთსულოვნად მიესალმნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებასა და მთავრობის ღონისძიებას, რომლებიც მიმართულია სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვითი და სამეურნეო ძლიერების განმტკიცებისაკენ. ფრენიები და გამცდენები ტყვარჩელის მაღაროების ნამდვილ ხელისშემშლელებს წარმოადგენდნენ. ამ წლის 5 თვის განმავლობაში წარმოების ამ დეზორგანიზატორების მიზეზით მაღარომ ჩვენს ქვეყანას დააკლო 13,5 ათასი ტონა ქვანახშირი—ამაზე აღშფოთებით ლაპარაკობდნენ მიტინგებზე გამოსული ამხანაგები. ტყვარჩელქვანახშირის ძველმა კადრის მუშამ, სტახანოველმა მთხრელმა ზინჩენკომ მოიგონა ლენინის სიტყვები, რომ ქვანახშირი მრეწველობის პურია. მაღაროელთა საპატიო მოვალეობაა უზრუნველჰყონ ქვანახშირით სოციალისტური მრეწველობის მოთხოვნილება.

ეს იქნება, — ამბობს იგი,—სამშობლოს თავდაცვის განმტკიცების საქმეში შეტანილი ჩვენი წვლილი.

ფრენიებსა და გამცდენებს თავიანთი თავი მაღაროს სტუმრებად მიაჩნდათ, ისინი უგულოდ მუშაობდნენ და ამით დეზორგანიზაცია შეჰქონდათ წარმოებაში. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამას ბოლოს უღებს. ახლა ერთ ადგილზე რომ იმუშავებს ყოველი მუშაკი იგრძნობს, რომ იგი სამუშაოს თავისი უბნის ბატონ-პატრონია.

ტყვარჩელქვანახშირის უძველესმა მუშამ, მებიგე ამხ. ერემენკომ განაცხადა:

— მთავრობის გადაწყვეტილება არის მთელი მუშათა კლასის ხმა, მთელი ჩვენი ქვეყნის ხმა—ამ გადაწყვეტილებას ჩვენ განვახორციელებთ და იმდენ ქვანახშირს დავამზადებთ, რამდენიც დასჭირდება ჩვენს სამშობლოს.

ძალების დაუზოგავად ვიმუშავებთ სამშობლოს საკეთილდღეოდ, სამშობლოს სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად, — ნათქვამია ტყვარჩელქვანახშირის მშრომელთა რეზოლუციაში.

შვიდდღიანი კვირისა და რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღებით „ტყვარჩელქვანახშირი" ქვეყანას წლის მეორე ნახევარში დამატებით მისცემს 19.000 ტონა ქვანახშირს.

წარმოების დეზორგანიზატორები სამართალში არიან მიცემულნი

2 ივლისს მოსკოვში იწყება სამუშაოს გამცდენთა, ფრენიათა და წარმოების დეზორგანიზატორთა მთელი რიგი სასამართლო პროცესები. ამ საქმეების გამოძიება უკვე დაამთავრა დედაქალაქის პროკურატურამ.

ლენინის რაიონში მოსმენილ იქნება სინიცინის საქმე, რომელმაც თვითნებურად დასტოვა სამუშაო სემაშკოს სახელობის ქარხანაში. წელს სინიცინმა უკვე ორჯერ გააცდინა სამუშაო და ამისათვის დაითხოვეს ქარხნიდან.

ძერჟინსკის რაიონში ირჩევა კოროლევის საქმე (ქარხანა „იდეალი"). მან მთელი ცვლით დაიგვიანა სამუშაოზე. შარშან კოროლევი დათხოვნილი იყო ძერჟინსკის სახელობის ქარხნიდან სამუშაოს გაცდენისათვის.

საჩვენებელი პროცესები გაიმართება საწარმოებში, სადაც მუშაობდნენ სამართალში მიცემულნი, სახელმწიფო ბრალდებისა და დამცველთა წარმომადგენლების მონაწილეობით (საკდესი).

საქართველოს სსრ პავილიონში

მოსკოვი, (ჩვენი საკ. კორ.). 28 ივნისს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს სსრ პავილიონში ჩაის კულტურისადმი მიძღვნილ სტენდთან ლანჩხუთის რაიონის სოფ. მამათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასილ ჩხაიძე გამოვიდა დაწვრილებითი მოხსენებით თავისი მუშაობის შესახებ. მას უსმენდნენ ექსკურსანტები მახარაძის რაიონიდან, აგრეთვე აზერბაიჯანისა და უზბეკეთის კოლმეურნეთა ჯგუფები. ამხ. ჩხაიძემ დაწვრილებით გააშუქა თავისი მუშაობა, აგრეთვე კოლმეურნეების მუშაობა და მრავალრიცხოვან კითხვებზე პასუხი გასცა დამსწრეთ, [illegible] ჩაის კულტურის ტექნიკა და საყოფაცხოვრებო საკითხები. ჩხაიძე წარმოდგენილი არის პავილიონში ფართო ჩვენებით, მისი პორტრეტი დახატულია ჩაის კულტურის სტენდზე.

გამოფენაზე ჩამოვიდა პროფ. ნ. კეცხოველი. უახლოეს ხანში იგი საქართველოს პავილიონის ექსკურსიების ხელმძღვანელთათვის წაიკითხავს მოხსენებას საქართველოს მცენარეულობაზე.

კოლმეურნეობას უნდა მოვაცილოთ უღირსი ხელმძღვანელები

(„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებაში სწერია: „საკოლმეურნეო გზა, სოციალიზმის გზა, ერთადერთი სწორი გზაა მშრომელი გლეხობისათვის". ეს მტკიცედ აქვთ შეგნებული თელავის რაიონის სოფელ ზემოკუწახტის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს. ისინი თავდადებით შრომობენ კოლმეურნეობაში, კეთილსინდისიერად ეპყრობიან საკოლმეურნეო ქონებას და იბრძვიან ახალ-ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

მაგრამ კოლმეურნეთა პატიოსან შრომას ხელს უშლის კოლმეურნეობასთან შემთხვევით მიტმასნილი ადამიანი, სამწუხაროდ ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. გორელაშვილი. იგი მთლიანად მოწყვეტილია კოლმეურნეობას, ხელმძღვანელობის გაწევის ნაცვლად ლოთობს და უდიერად ეპყრობა კოლმეურნეობის მოწინავე, საქმისათვის თავდადებულ ადამიანებს.

კოლმეურნეობაში დაცემულია შრომის დისციპლინა, ყურადღება არ ექცევა გამომუშავებული შრომადღეების დარიცხვას კოლმეურნეთათვის, ბრიგადებზე მიმაგრებული არ არის მიწის ნაკვეთი, მუშა-საქონელი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, გამომუშავებული და კოლმეურნეთა საერთო კრებაზე დამტკიცებული არ არის აგრეთვე 1940 წლის გამომუშავების ნორმები და სხვ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის მ. გორელაშვილის უკანონო მოქმედება იქამდე მივიდა, რომ მან თვითნებურად აუკრძალა მუშაობა კოლმეურნეთა მიერ საერთო კრებაზე არჩეულ სარევიზიო კომისიას, და ახლა როგორც უნდა ისე ანიავებს კოლმეურნეობაში შემოსულ თანხებს.

კიდევ მეტი. მ. გორელაშვილმა ხელი მოჰკიდა მოიჯარადრეობას. ასე, მაგალითად, მან ჯერ კიდევ 1939 წლის დასაწყისში კოლმეურნე ამხ. ნ. ვალიშვილს 5.000 მანეთი გამოართვა და სახლის აშენებას შეჰპირდა. ნამდვილად კი აღნიშნული თანხა მიითვისა და სახლის აშენება აზრადაც არ მოსვლია.

მ. გორელაშვილის უხეირო და მოუქნელი მუშაობა დიდიხანია იცოდა სოფელ დუისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ე. გუმაშვილმა, მას კოლმეურნეებმა ამის შესახებ დროულად აცნობეს, მაგრამ მან ეს საქმე დაჰფარა.

კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ რედაქციაში შემოსული წერილის ადგილობრივ შემოწმებისას კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. გორელაშვილი მთვრალი აღმოჩნდა და სახლში ეძინა, მაშინ როდესაც კოლმეურნეები გულმოდგინედ შრომობდნენ საკოლმეურნეო მინდორზე.

○

ამავე რაიონის სოფელ საკობიანოს კოლმეურნეობა „პირველი მაისის" თავმჯდომარე გ. ალბუთაშვილი დიდად არ ჩამორჩება ქეიფსა და ღვინის სმაში სოფ. ზემო-კუწახის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. გორელაშვილს.

გ. ალბუთაშვილმა ყურად არ იღო კოლმეურნეთა სიგნალები და დუისის სოფლის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ე. გუმაშვილის უშუალო დახმარებით კოლმეურნეობას თავზე მოახვია მოანგარიშედ ამავე კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, საეჭვო პიროვნება ა. ქორეულაშვილი. ა. ქორეულაშვილი 1937-38 წელს მუშაობდა სოფ. საკობიანოს კოლმეურნეობა „პირველ მაისში" თავმჯდომარედ. მისი თავმჯდომარეობის დროს კოლმეურნეობაში გაფლანგულ იქნა 4.716 კილოგრამი ხორბალი, 138 კილოგრამი ყველი, 14 კილოგრამი კარაქი და რამდენიმე ათასი მანეთი ფული. გარდა ამისა, ა. ქორეულაშვილმა დუისის სოფლსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ე. გუმაშვილთან შეთანხმებით უკანონოდ გაათავისუფლა 1938-39 წელს ხორცისა და ერბოს გადასახადისაგან თავისი „ძმაბიჭები" ი. გამიაშვილი, თ. ხავაზურაშვილი, თ. თანდილაშვილი, ი. ლაგოზური და სხვ. ცუდი მუშაობისა, ქურდობისა და ლოთობისათვის ა. ქორეულაშვილი 1938 წელს კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით გაძევებულ იქნა კოლმეურნეობიდან.

ამის შემდეგ ა. ქორეულაშვილმა მუშაობა დაიწყო დუისის სოფლის კოოპერატივში და მოკლე დროის განმავლობაში მიითვისა 3.000 მანეთი, რისთვისაც იგი გარიცხულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან.

ყოველივე ამის შემდეგ ა. ქორეულაშვილს, გ. ალბუთაშვილისა და ე. გუმაშვილის წყალობით მოანგარიშედ ვხედავთ სოფ. საკობიანოს კოლმეურნეობა „პირველ მაისში".

ეჭვი არ არის, ასეთ მდგომარეობას ადგილი არ ექნებოდა, თელავის რაისაბჭოს აღმასკომის და რაიმიწგანის ხელმძღვანელი მუშაკები სათანადო ყურადღებას რომ აქცევდნენ ამ კოლმეურნეობებს.

დ. რთველიაშვილი

უყურადღებოდ მიტოვებული კოლმეურნეობა

(„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

— გული მტკივა, ბაბა... გული... სხვა სოფლებში კოლმეურნეები შვენივრად უძღვებიან თავიანთ საქმეს, ჩვენი კოლმეურნეობის საქმე კი ვერ მიდის კარგად, შრომის დისციპლინა დაეცა, ანგარიშიანობა ისეა არეულ-დარეული, რომ კაცი ვერაფერს გაუგებს, — გვეუბნება ცხაკაიას რაიონის სოფელ ზემო-ჭალადიდის კოლმეურნეობა „დამკვრელის" წევრი, უკვე თმაშევერცხლილი ირაკლი სიჭინავა, რომელსაც ამ კოლმეურნეობაში ყველაზე უფრო მეტი შრომადღეები აქვს გამომუშავებული.

სამართლიანია მისი და სხვა ბეჯით კოლმეურნეთა გულისტკივილი. კოლმეურნეობაში ხშირად ირღვევა საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური კანონი— საკოლმეურნეო წესდება. ადგილი აქვს აშკარა ბოროტმოქმედებებსაც. კოლმეურნეობის გამგეობამ და პირადად მისმა თავმჯდომარემ ამხ. გ. ლოლუამ თავი ვერ გაართვა კოლმეურნეობის საქმეებს.

ამაზე მეტყველებენ ფაქტები, ადამიანები.

პირველი ივნისიდან არცერთი კოლმეურნის შრომის წიგნაკში ჩაწერილი არ არის შრომადღეები. კოლმეურნეობის გამგეობამ კოლმეურნეობის ზარმაც წევრთა კარნახით დაიწყო გამომუშავების ნორმების შემცირება, მიუხედავად იმისა, რომ არსებული ნორმები მინიმალურია. გამგეობამ კოლმეურნეებს საფურაჟე ფონდიდან დაურიგა სიმინდი. ბრიგადირი ქ. მიქაძე კოლმეურნეთა ნამუშევრის აღრიცხვას თვეში ერთხელ ახდენს. 25 მაისს მან მთელს ბრიგადას მოუყარა თავი ნამუშევრის აღსარიცხავად, ბევრი გაუგებრობა მოხდა, ზოგიერთი კოლმეურნე ერთმანეთს წაეჩხუბა.

კოლმეურნეობის წევრთა ერთი ნაწილი დილის ათ-თორმეტ საათზე იწყებს მუშაობას. ისინი პირად საქმეებს უფრო მეტ დროს ანდომებენ. კაცმა რომ თქვას, ცრუ კოლმეურნეები არიან. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სიჭინავამ და კოლმეურნე შ. გაგუამ კოლმეურნეობის გამწევი ძალით ვიღაც წულაიას დაამუშავეს უკანონოდ მისაკუთრებული ერთი ჰექტარი მიწა. აღებული ფული მთლიანად მიითვისეს. კოლმეურნეობამ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

კოლმეურნეობას სულ რაღაც 30 ჰექტარის ფართობზე აქვს სიმინდის ყანა და ისიც ვერ გაუთოხნია, მსხვილფეხა რქიანი საქონლისა და ცხენების ფერმებიც აქვს, მაგრამ საქონელი მოუვლელია. 6.000 მანეთად ღირებული საუკეთესო ჯიშის ულაყი მოუვლელობის გამო ფეხზე ძლივს დგას.

მეცხენეობის ფერმის ბრიგადირი ვასილ სიჭინავა საკოლმეურნეო ქონებას ანიავებს, ასაჩუქრებს, ჰყიდის. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევს ახლო ნათესავი, ზემო-ჭალადიდის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე პ. სიჭინავა. აღსანიშნავია, რომ ეს კაცი ხელს უწყობდა ამჟამად დაპატიმრებულ ქურდ-რეციდივისტს ვიღაც თოლორდავას, მას ყალბ მოწმობებს აძლევდა, რითაც სხვისი საქონლის გაყიდვისა და გასაჩუქრების საშუალებას აძლევდა. და როცა ასეთი კაცი ჰყავს ფერმის ბრიგადირ ვ. სიჭინავას, რა შეუშლის ხელს?

— ცხენი გინდა?—წაიყვანე. ცხენის პასპორტი?—თუ გინდა ხუთს ვიშოვნი—გაიძახის ვ. სიჭინავა.

მან ერთი ცხენი მისცა კოლმეურნე შუხუნი გაგუას. შუხუნი ცხენების მეპატრონეთა სიაშიც შეიტანა პ. სიჭინავამ, უკანონოდ დასაკუთრებული ცხენის პასპორტი ამ დღეებში უნდა მიეღოთ. კოლმეურნეობის გამგეობის საქმეებში ინახება ცხენების პასპორტები — №№ 647070, 647071, 647049, 647035, 647033, 647031. მათში აღწერილი ნიშნების მქონე ცხენები კი არსად ჩანან. კოლმეურნეობის 14 ცხენი მოკვდაო—ამბობს ფერმის ბრიგადირი. ამაზე კანონიერად შედგენილი აქტები არსად ინახება. კოლმეურნეობის გამგეობა უსიტყვოდ იღებს ზეპირ განცხადებას. კოლმეურნეები ამბობენ, რომ მხოლოდ ხუთი ცხენი მოკვდაო. სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, ფერმის ბრიგადირი და ვეტექიმი წაქაძე სახდაზღვევის ორგანოებს უდგენენ ყალბ აქტს 12 ცხენის სიკვდილის შესახებ.

კოლმეურნეობის გამგეობას ცხენები არ დაუდაღავს თავის დროზე, მათი სწორი აღრიცხვაც არ ჰქონდა და ამით ისარგებლა ბოროტმოქმედმა ვ. სიჭინავამ. კოლმეურნეობაში ანგარიშგებისა და აღრიცხვის საქმე საერთოდ ცუდად არის დაყენებული, მოანგარიშის მოვალეობას აღმრიცხველი ასრულებს.

ზემოაღნიშნული მდგომარეობის შესახებ ცხაკაიას რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს საკმაოდ ჰქონდათ სიგნალები, მაგრამ აქედან საჭირო დასკვნები დროზე ვერ გააკეთეს, ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ ზომები ვერ მიიღეს. რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ამბობს—ალაჰმა უწყის, ჭალადიდში რა ხდებაო. არ ვიცით, ალაჰმა რა უწყის, ის კი აშკარაა, რომ ბოროტმოქმედნი დაუსჯელნი არიან. ბოროტმოქმედნი საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარსდგნენ.

აკ. შონია

„ევგენი ონეგინი"

პრემიერა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში

მთელმა საბჭოთა ქვეყანამ უდიდესი აღფრთოვანების გრძნობით აღნიშნა გენიალური რუსი კომპოზიტორის პ. ი. ჩაიკოვსკის დაბადების 100 წლისთავი. იუბილე გადაიქცა რუსული მუსიკალური კულტურის დღესასწაულად. მან ცხადჰყო, თუ რა დიდად აფასებს საბჭოთა ხალხი წარსულის დიდ მხატვრებს, პატივს სცემს მათს ხსოვნას, როგორც თავის სიამაყეს.

საბჭოთა მუსიკალური კულტურა მზრუნველობით ინახავს ჩაიკოვსკის მემკვიდრეობას. ჩაიკოვსკის ნაწარმოებები, რომლებიც არასოდეს არ შორდება სცენასა და საკონცერტო ესტრადას, საიუბილეო დღესასწაულის დღეებში განსაკუთრებით ფართოდ გაისმა. სსრ კავშირში არ დარჩენილა არცერთი მუსიკალური ორგანიზაცია, რომელიც ასე თუ ისე არ გამოხმაურებოდა იუბილეს. საბჭოთა კავშირის თორმეტმავე ძმამ რესპუბლიკამ დიდი კომპოზიტორის იუბილე თავის კულტურულ დღესასწაულად გადააქცია.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანმა სახელმწიფო თეატრმა პ. ჩაიკოვსკის დაბადების 100 წლისთავი აღნიშნა ოპერა „ევგენი ონეგინის" საიუბილეო დადგმით. „ონეგინი" კომპოზიტორის პირველი ნაწარმოებია, რომელშიც ყველაზე სრულყოფილად გამოირკვა ჩაიკოვსკის ნაციონალური სტილის თვისებები. ამ სტილის ფესვები მომდინარეობს პუშკინის ნაწარმოებიდან, რომელზეც ბელინსკი სწერდა: „პირველი ჭეშმარიტად ნაციონალურ-რუსული პოემა ლექსად იყო და არის პუშკინის „ევგენი ონეგინი". პუშკინმა შთაუნერგა კომპოზიტორს მისწრაფება მუსიკის ახალი ნაციონალური სტილის ძიებისაკენ. ამას არაერთხელ აღნიშნავდა ხაზგასმით ჩაიკოვსკიც: „თუ ჩემს მუსიკას... მოეპოვება სითბო და პოეტურობა, ეს იმიტომ არის, რომ ჩემი გრძნობა გამთბარი იყო სიუჟეტის მშვენიერებით".

ჩაიკოვსკი 1878 წელს სწერდა: „მე გატაცებით მიყვარს რუსი ადამიანი, რუსული სიტყვა, გონების რუსული წყობა, რუსული სახის სილამაზე, რუსული ჩვეულებანი"... თავისი ეს ღრმა სიყვარული რუსეთისადმი, „ძვირფასი და საყვარელი სამშობლოსადმი" ჩაიკოვსკიმ ყველაზე სრულად გამოხატა „ევგენი ონეგინით", ოპერით, რომელსაც იგი სწერდა მთელი თავისი გულწრფელობით. გულწრფელობა ჩაიკოვსკის შემოქმედების დამახასიათებელი თვისებაა. მას არ ჰქონდა სხვა იარაღი, გარდა თავისი გულწრფელობისა — „და ამ გულწრფელობაზე მე მთელ ჩემს იმედებს ვამყარებო",—ამბობდა იგი.

იცნობდა რა საიმპერატორო თეატრების ტრადიციებს და მაშინდელი თეატრალური საზოგადოების გემოვნებას, ჩაიკოვსკის ეშინოდა, რომ მის „ონეგინს" ვერ გაიგებდნენ, და იგი წინდაწინვე ემზადებოდა მარცხისათვის. იგი ამბობდა, თუმცა „ევგენი ონეგინში" „ყველაფერი სადა და ჩვეულებრივია, მაგრამ სისადავე და ჩვეულებრივობა არც პოეზიას გამორიცხავს და არც დრამასო", და მიაჩნდა, რომ ამ ოპერის სცენიური განსახიერებისათვის საჭიროა სავსებით ბუნებრივი თამაში, რომ თეატრალური პოზის სიმძიმე სპექტაკლს ჩაჰფუშავსო.

შეუდგა რა „ევგენი ონეგინის" დადგმას, თბილისის საოპერო თეატრი ამოცანად ისახავდა მიეღწია თამაშის სწორედ ამ ბუნებრივობისათვის, მაქსიმალურად მიეახლოვებინა სპექტაკლი იმ მოთხოვნებთან, რომლებსაც თვით ჩაიკოვსკი უყენებდა შემსრულებელთ. თეატრს კარგად ესმოდა, რომ ის დრო, როდესაც სცენიური სიმართლე ოპერაში უგულებელყოფილი იყო, დიდიხანია წავიდა. ძირითადი გზა რომლითაც მიდის საბჭოთა საოპერო ხელოვნების განვითარება, ეს არის სცენიური რეალიზმის გზა და სწორედ ამ მიმართულებით უნდა აგებულიყო სპექტაკლი.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ დამდგმელმა, თბილისის ოპერის თეატრის მთავარმა რეჟისორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. რ. წუწუნავამ სცენიური ეფექტების მხრივ ბევრი ახალი რამ მოგვცა. მაგრამ დადგმის ძირითადი ღირსება ამაში როდია. რეჟისორის მუშაობის ძირითადი ღირსება იმაშია, რომ მან სწორად გახსნა ეპოქა, სწორად გაიგო პუშკინისა და ჩაიკოვსკის სახეები და აქტიორებთან გულმოდგინე მუშაობის გზით, ამ უკანასკნელთა საშუალებით ისინი მაყურებლამდე მიიტანა.

სპექტაკლი ხელსაყრელად განსხვავდება „ევგენი ონეგინის" ყველა წინა დადგმებისაგან, რომლებიც განხორციელებული ჩვენს თეატრში. მასში სჩქეფს გასული საუკუნის 40-იანი წლების ძველი მემამულური რუსეთის ცხოვრება. შესანიშნავად არის დადგმული ბალი ლარინებისას და, განსაკუთრებით, გრემინისას, სადაც ნიკოლოზის ეპოქის პეტერბურგის მაღალი საზოგადოების უმაქნისობა და არარაობა მთელი სიცხადით არის ნაჩვენები.

დიდი მუშაობა ჩაუტარებია რეჟისორს გუნდთან. გუნდი არა მარტო მღერის, არამედ თამაშობს კიდეც, ამასთან თვითეულ მონაწილეს დაკისრებული აქვს ამოცანა—უჩვენოს რაც შეიძლება ერთობლივად მაშინდელი საზოგადოების გარკვეული დაჯგუფების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. გუნდის მთავარი მასა სძლევს ამ ამოცანას.

ლარინებისას და გრემინისას მოწყობილი ბალის ჩამოთვლილ სცენებს გარდა, რეჟისორული კომპოზიციის აზრით საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე პირველი აქტის პირველი სურათი (ლარინების სახლი) და წისქვილთან მომხდარი დუელის სცენა. ჯგუფების ზუსტად განაწილება, გააზრებული მოძრაობა, ფერების მოხერხებულად შეხამება ამ სცენებს მიმზიდველს ხდიან მაყურებლისათვის.

სპექტაკლი გაფორმებულია მხცოვანი მხატვრის პროფესორ შარლემანის მიერ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სპექტაკლის წარმატების მნიშვნელოვანი წილი უნდა მიეწეროს მხატვრის მუშაობას, რომელმაც, მიუხედავად ამ ოპერის „მოძველებისა" გარეგნული გაფორმების მხრივ, მაინც იპოვნა ახალი, ხელუხლები ფერადები, პავილიონების ახალი აღნაგობა და განლაგება. მაყურებლები მქუხარე ტაშით ხვდებიან რუსეთული ზამთრის სურათს დუელის სცენაში და დარბაზის გაფორმებას გრემინის სახლში მოწყობილი ბალის დროს. შესანიშნავია კოსტუმები.

პროფ. შარლემანის ნამუშევარს, რომელიც საერთოდ მაღალკულტურული და ნიჭიერად შესრულებულია, მაინც ახლავს ნაკლოვანებანი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სუსტად არის გაკეთებული ტატიანას ოთახი. ფერადები აქ მკრთალია, თვით ოთახი ვერ არის მყუდრო და მიმზიდველი, არ შეეფერება სპექტაკლის საერთო სტილს.

„ევგენი ონეგინი" ძნელი ოპერაა როგორც შემსრულებლებისათვის, ისე დირიჟორისათვის. შ. ი. აზმაიფარაშვილმა ერთხელ კიდევ გამოიჩინა თავი როგორც კარგმა ოსტატმა. მან ჩინებულად იცის პარტიტურა, იგი გრძნობს ჩაიკოვსკის მუსიკის მთელ სიმშვენიერეს და თავის მუშაობაში ცდილობს ახლოს იყოს კომპოზიტორთან, იგი მომთხოვნელია როგორც საკუთარი თავისადმი, ისე ყველა შემსრულებლისადმი. სამწუხაროდ, თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრის შემადგენლობა მას შესაძლებლობას არ აძლევს მთლიანად გამოაჩინოს თავისი ძალები. ჟღერა, ტემბრი და ორკესტრის წყობა სრულებითაც ვერ ჩაითვლება სრულყოფილად. ამან მნიშვნელოვნად განსაზღვრა „ევგენი ონეგინის" მუსიკალური შესრულება, რომელიც მეტწილად ძლიერი და ემოციურად მდიდარია, მაგრამ მაინც ვერ არის საკმაოდ დახვეწილი. „ევგენი ონეგინის" გენიალური ძალა ხომ ორკესტრულ მოძრაობაშია, რომელიც ხან რბილია, ხან მშფოთვარე, მაგრამ მუდამ სწრაფი და წარმტაცი.

გადავდივართ რა ცალკეულ შემსრულებელთა შემოქმედების შეფასებაზე, უნდა ვთქვათ, რომ რეჟისორის დინჯი, მოფიქრებული მუშაობა იგრძნობა აქტიორთა ყოველ ნაბიჯში. ცნობილია, რამდენი ფუსფუსი შეჰქონდათ დამდგმელებს ტატიანას წერილის სცენაში იმ მომენტში, როდესაც იგი, დაასრულებდა რა წერას და გადასცემდა წერილს გადიას, ერთ წუთს დაბნეული შეჩერდებოდა, შემდეგ კი იწყებდა ბორგვას ოთახში—ხან ფანჯარას ეცემოდა, ხან კარს, ხან ლოგინს. ამ ფუსფუსით უნდოდათ ეჩვენებინათ გმირი ქალის სულიერი მღელვარება.

ა. რ. წუწუნავამ ხელი აიღო ამ ხერხზე და ტატიანას სახემ ამით მოიგო. ტატიანა ახლა აღარ დარბის სცენაზე. წერილის გაგზავნის შემდეგ იგი დაფიქრებული დგას ფანჯარასთან, შინაგანად აღელვებული, და გმირი ქალის ეს სიდინჯე უფრო შეჰფერის მღელვარე მუსიკას.

ტატიანას როლს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. სოხაძე და ე. გოსტენინა. შესანიშნავი რუსი ქალის სახე, რომელშიც პუშკინმა და ჩაიკოვსკიმ აღბეჭდეს თავიანთი აზრები ადამიანის პიროვნების სილამაზისა და უბიწოების შესახებ, სიყვარულის ძალის შესახებ, მსახიობების მიერ გახსნილია გულთბილად და დამაჯერებლად. ე. გოსტენინას მიერ შექმნილი სცენიური სახე უფრო მეტად ჰგავს პუშკინის ტატიანას, ვოკალის მხრივ კი უფრო ძლიერია ე. სოხაძე. იგი მღერის მსუბუქად, სადად, თავის ხმას ძალას არ ატანს. ინტონაციაში დიდია გულწრფელობა. რაც უფრო ღრმა ხდება ტატიანას სულიერი დაძაბულობა, მით უფრო მომხიბლავად მღერის სოხაძე. ეს შესრულების დიდი ღირსებაა.

ონეგინის როლს პირველ ორ სპექტაკლში ასრულებდა ვოკალისტთა სრულიად-საკავშირო კონკურსის ლაურეატი დ. გამრეკელი. ამ მსახიობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია. საუცხოო რბილი, მოქნილი, მომხიბლავი ბარიტონი, ბუნებრივი მუსიკალური ნიჭი და გულხმიერობა, კარგი გარეგნული მონაცემები და სისტემატური მუშაობა თავის თავზე მის ბრწყინვალე საოპერო კარიერას უმზადებენ. მსახიობის ხმა საუცხოოდ ჟღერდა. იმ მსახიობთაგან განსხვავებით, რომლებიც ონეგინში ხაზგასმით აღნიშნავენ მის დიდაქტიკურობას, წინდახედულობას, დ. გამრეკელი თავის გმირს უფრო რბილ თვისებებს აძლევს. თამაშის თავისი მანერით და თავისი ხმის ხავერდოვანი ტემბრით დ. გამრეკელი თავიდანვე ხიბლავს მაყურებელს და ბოლომდე დაძაბულ მდგომარეობაში ამყოფებს. ონეგინის როლი ახალგაზრდა მსახიობის დიდი გამარჯვებაა.

ლენსკის როლს ასრულებენ მ. ყვარელაშვილი და ნ. ბოკუჩავა. პირველი მღერის და თამაშობს უფრო თავისუფლად, ხაზს უსვამს დრამატულობას ლენსკის მდგომარეობაში. ნ. ბოკუჩავა იძლევა მეოცნებისა და პოეტის მიმზიდველ სახეს.

ოლგას როლს პირველ სპექტაკლში ასრულებდა ა. სტეპანიანი, ხოლო მეორე დღეს ამავე როლში პირველად გამოვიდა ახალგაზრდა მსახიობი თ. ციბაძე, რომელსაც ლამაზი ხმა და კარგი სცენიური მონაცემები აქვს. თუ არას ვიტყვით მღელვარებაზე, რაც აუცილებელია ასეთ შემთხვევებში, მის მიერ ოლგას პარტიის შესრულება სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ.

გაგვახარა თავისი ლამაზი ხმით და ახალგაზრდული სიყვარულის შესახებ გრემინის „ჰიმნის" საუცხოო შესრულებით ახალგაზრდა ნიჭიერმა მომღერალმა გ. გოგიჩაძემ. პირველ სპექტაკლში ამ პარტიას ასრულებდა გამოცდილი ლ. ისეცკი.

კარგად მღერის და თამაშობს გადიის პარტიას მ. სოხიაშვილი. კარგია ამ როლის მეორე შემსრულებელი ე. ბელქანია.

სასიამოვნოდ მღერიან ტრიკეს კუპლეტებს ზ. სვანიძე და ი. მოლჩანოვი.

ს. ბოვა, რომელიც ლარინას როლს ასრულებს, საკმაოდ კარგად მღერის, მაგრამ გარეგნულად ძალიან ახალგაზრდად ჩანს.

კარგია ზარეცკის როლში შ. მამაცაშვილი.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე „ევგენი ონეგინის" დადგმა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში. ჩაიკოვსკის დაბადების 100 წლისთავისათვის განხორციელებული სპექტაკლი შესაფერი წვლილია დიდი რუსი კომპოზიტორის, ქართველი ხალხის მეგობრისა და კეთილისმსურველის ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 1 ივლისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის შემდეგს ცნობას:

„საფრანგეთში მნიშვნელოვანი რამ არაფერი მომხდარა. გერმანიის ერთი წყალქვეშა ნავის მეთაურმა გამოგზავნა ცნობა, რომ მან ჩასძირა სავაჭრო გემები, რომელთა საერთო წყალწყვა 23.000 ბრუტო-რეგისტრირულ ტონას შეადგენს, და ბრესტის სამხრეთით ჩასძირა აგრეთვე მოწინააღმდეგის „ორიონის“ კლასის კრეისერი. ამ ჩაძირულ გემებში ორ გემს ძლიერი ბადრაგა ახლდა.

გერმანიის საბრძოლო ავიაციის შენაერთებმა 30 ივნისს ღამით ყუმბარები დაუშინეს რამდენიმე ნავსადგურს შოტლანდიის აღმოსავლეთ სანაპიროზე და ინგლისის აღმოსავლეთისა და დასავლეთ სანაპიროზე. ესკადრილია, რომელიც ინგლისის „ბლენჰეიმის“ ტიპის 9 საბრძოლო თვითმფრინავისაგან შესდგებოდა და რომელიც 30 ივნისს დღისით თავისი ავიაგამანადგურებლების საფარველქვეშ ცდილობდა ყუმბარები დაეშინა მერვილის აეროდრომისათვის, ლილის მახლობლად გაფანტულ იქნა საზენიტო არტილერიის სროლით. გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა აიძულეს ინგლისის თვითმფრინავები მიეღოთ საჰაერო ბრძოლა, რომლის შედეგადაც ჩამოგდებულ იქნა ინგლისის „ბლენჰეიმის“ ტიპის ექვსი თვითმფრინავი და ინგლისის 3 ავიაგამანადგურებელი. მოწინააღმდეგის თვითმფრინავებმა 30 ივნისს ღამით კვლავ დაუშინეს ყუმბარები ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ გერმანიის ქალაქებს, რომლებსაც უმნიშვნელო მატერიალური ზარალი მიაყენეს. სულ 30 ივნისს ჩამოგდებულია ინგლისის 18 თვითმფრინავი, აქედან 11 — საჰაერო ბრძოლის დროს, 7 — საზენიტო არტილერიით. გერმანიის ერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა“.

გერმანიის ჯარმა ნორმანდიის კუნძულები დაიკავა

ბერლინი, 1 ივლისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის ავიაციის შენაერთებმა ინგლისის ავიაციასთან ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ინგლისის კუნძულები გერნსი და ჯერსი (ნორმანდიის კუნძულები), რომლებიც ლა-მანშის სრუტეში მდებარეობენ. ამ ოპერაციის დროს გერმანიის ერთმა საზვერავმა თვითმფრინავმა ჩამოაგდო ინგლისის 2 „ბრისტოლ-ბლენჰეიმის“ ტიპის საბრძოლო თვითმფრინავი.

გერმანიის „თეთრი წიგნი“

ბერლინი, 30 ივნისი (საკდესი). გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა მეხუთე ნაკვეთი „თეთრი წიგნისა“ სათაურით „ახალი დოკუმენტები, რომლებიც ამხილებენ დასავლეთის სახელმწიფოთა ექსპანსიურ პოლიტიკას“. ეს ნაკვეთი ეხება საკითხს, თუ ვინ ასტეხა ომი. ახალი „თეთრი წიგნი“ ეხება ინგლისისა და საფრანგეთის გენერალური შტაბების კონსულტაციას ბელგიისა და ჰოლანდიის გენერალურ შტაბებთან. საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ „თეთრ წიგნში“ გამოქვეყნებული დოკუმენტები შეურჩევლად ამოღებულია დიდძალი დოკუმენტებიდან, რომლებიც გერმანიის ჯარებმა ხელთ იგდეს ჰოლანდიისა და ბელგიის ტერიტორიაზე წინსვლის დროს. ახალი დოკუმენტები ავსებენ გერმანიის უმაღლესი სარდლობის ამა წლის 9 მაისის მოხსენებას. საფრანგეთის, ინგლისისა და ბელგიის სამხედრო ბრძანებანი მოწმობენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს სურდათ გამოეყენებინათ ბელგია და ჰოლანდია პირველ ხაზად გერმანიის რურის ოლქზე იერიშისათვის. შემდეგ ეს დოკუმენტები ამტკიცებენ, რომ გეგმები ამ თავდასხმისა, რომელიც ლუქსემბურგზეც უნდა გავრცელებულიყო, დაწვრილებით იყო დამუშავებული ბელგიისა და ჰოლანდიის გენერალური შტაბების თანამშრომლობით. გამოქვეყნებული ბრძანებანი მოიცავენ გასული წლის ნოემბრიდან ამა წლის აპრილამდე განვლილ პერიოდს და, ამგვარად, წარმოადგენენ იმის ახალ საბუთს, რომ ინგლის-საფრანგეთის სამხედრო გეგმები უკვე დიდი ხანია დამუშავებული იყო. ეს გეგმები ითვალისწინებდნენ კავშირის დამყარებას ერთი მხრივ, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებს შორის, ხოლო მეორე მხრივ — ბელგიის სარდლობას შორის. გათვალისწინებული იყო აგრეთვე სათანადო ღონისძიებანი იმისათვის, რომ ბელგიის სამხედრო და სამოქალაქო მარაგიდან სათბობით უზრუნველეყოთ საფრანგეთის მოტორიზებული შენაერთები. დადგენილი იყო ვადები, თუ როდის უნდა გაეგზავნათ საფრანგეთის ჯარი ბელგიაში. ფრანგი ოფიცრები, უმცროსი ლეიტენანტებიც კი, ვალდებული იყვნენ შეესწავლათ ბელგიის გზები. ფრანგი ოფიცრები ბელგიის ტერიტორიის დაზვერვასაც ეწეოდნენ. დასავლეთის სახელმწიფოთა ჯარების რამდენიმე შენაერთი ბელგიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 10 მაისამდე ჩავიდა. საფრანგეთის არმია გაცნობილი იყო იმ ოპერაციებს, რომლებიც ბელგიის გენერალურ შტაბს უნდა ეწარმოებინა მდინარე მაასის აღმოსავლეთით. მეორე მხრივ, ბელგიელთა ბრძანებაში აღმოჩნდა დეტალები, რომლებიც მოწმობენ, რომ ბელგიაში იყვნენ მოკავშირეთა ჯარები. ინგლისელებს მიღებული ჰქონდათ ზომები ბელგიის პოლიციასთან თანამშრომლობისათვის. ნაპოვნი რუკები, სადაც დაწვრილებით არის აღნიშნული ინგლის-საფრანგეთის ჯარების შეტევის მარშრუტები, ამტკიცებენ, რომ ამ სახელმწიფოებს განზრახვა ჰქონდათ თავს დასხმოდნენ გერმანიას და რომ ბელგიის გენერალური შტაბი ინგლის-საფრანგეთის გეგმებთან შეთანხმებით მოქმედებდა.

დასასრულ, დოკუმენტების განსაკუთრებული ჯგუფი გვიჩვენებს, რომ საფრანგეთის არმიის მარცხენა ფლანგს ბელგიის ტერიტორიით უნდა ევლო ჩრდილოეთის სანაპიროს გასწვრივ, რათა მიეღწია ჰოლანდიის ქალაქების — ფლისინგენის, ბრედისა და ტილბურგისათვის.

საერთო სურათს ავსებს ჰოლანდიის არმიის მთავარსარდლის მემორანდუმი, რომელიც გაგზავნილია ჰოლანდიის ბრიუსელელი ელჩისადმი. ეს მემორანდუმი არამარტო ჰოლანდიისა და ბელგიას შორის სამხედრო მოლაპარაკების ფაქტს ადასტურებს, არამედ იმ ფაქტსაც ადასტურებს, რომ ჰოლანდია ინგლისისა და საფრანგეთის გენერალურ შტაბებთან თანამშრომლობდა.

ამავე დროს მემორანდუმი გვიჩვენებს, რომ გრაბეს ხაზის დაცვა შესაძლებლობას იძლეოდა, რომ შეტევა დაეწყოთ ამ პოზიციიდან.

გერმანიის „თეთრი წიგნი“ ბოლოს ხაზგასმით აღნიშნავს შემდეგს ფაქტებს:

1. მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ არასოდეს არ შეწყვეტილა ბელგიისა და საფრანგეთის გენერალური შტაბების კონსულტაცია. იგივე შეეხება ბელგიისა და ინგლისის გენერალური შტაბების თანამშრომლობას. ასევე მიღწეულ იქნა შეთანხმება, ერთი მხრივ, ჰოლანდიის მთავრობასა და, მეორე მხრივ, ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

2. გერმანიის ჯარის მიერ ბელგიაში ნაპოვნი დოკუმენტები უცილობლად ადასტურებენ, რომ ინგლის-საფრანგეთის იერიში რურის ოლქის წინააღმდეგ ბელგიისა და ჰოლანდიის გავლით გადაწყვეტილი იყო უკვე 1939 წლის სექტემბერში. კიდევ მეტიც, ისინი ამტკიცებენ, რომ ამ ბრძანებებს ყოველმხრივ დაწვრილებით იცნობდნენ არა მარტო გენერალური შტაბები, არამედ ჯარებიც.

დასასრულ, „თეთრი წიგნი“ აქვეყნებს ინგლისის სამხედრო ბრძანებას, რომელიც გერმანელებმა ამას წინათ ხელთ იგდეს ნორვეგიაში; ეს ბრძანება უარჰყოფს მოკავშირეთა არაერთ განცხადებას, რომ ნორვეგიაში წარმოებული კამპანიის ერთადერთი მიზანი იყო მიეპყრო გერმანიის ყურადღება და ჩაეშალა მისი გეგმები. ინგლისის საზღვაო სამინისტროს მიერ 6 აპრილს გამოცემული ეს ბრძანება აღნიშნავს, რომ ინგლისის საექსპედიციო ჯარის მიზანი იყო დაეკავებინა ნარვიკის მადნიანი რაიონი. შემდეგ ბრძანებაში ნათქვამია, რომ ინგლისის ჯარის წინსვლა უნდა განგრძობილიყო შემდგომ შვეციის სამადნოების ოკუპაციის მოსახდენად.

ლიტვის სეიმის დათხოვნა

კაუნასი, 30 ივნისი (საკდესი). ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტით, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ლიტვის სეიმი 1 ივლისიდან დათხოვნილად ითვლება.

კაუნასი, 30 ივნისი (საკდესი). სეიმის დათხოვნასთან დაკავშირებით, ლიტვის იუსტიციის მინისტრმა პოკარკლისმა გაზეთ „ლიეტუვოს აიდასში“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც სწერს:

„სეიმი ძველი რეჟიმის დამახასიათებელ ქმნილებას წარმოადგენდა. სეიმის 46 წევრიდან 42 წევრი მთავრობის რეაქციულ პარტიას— ტაუტინინკების პარტიას ეკუთვნოდა; ოთხი ფორმალურად ამ პარტიას არ ეკუთვნოდა, მაგრამ თანაუგრძნობდა მას.

სეიმის შემადგენლობაში შედიოდნენ ქსენძები, უმაღლესი მოხელეები და კულაკები. სეიმის 22 წევრი „გლეხებად“ ითვლებოდა.

მათ ეკუთვნოდნენ ისეთი ვაჟბატონები, როგორიც არიან: კურკაუსკასი — სავაჭრო - სამრეწველო პალატის თავმჯდომარე, გუდავიჩიუსი—კაუნასისა და საოლქო თვითმმართველობათა საბჭოს წევრი, მაურუკასი — ქალაქ მარიამპოლის ბურგომისტრი. დანარჩენი „გლეხები“ იყვნენ თემების მამასახლისები, საოლქო გამგეობათა წევრები, წვრილი კრედიტის საზოგადოებათა გამგეობების წევრები და სხვ. სეიმში წარმოდგენილი არ იყო წვრილი და საშუალო გლეხობა, რომელიც გლეხთა დიდ უმრავლესობას შეადგენს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სეიმში არ იყო სასოფლო-სამეურნეო ან სამრეწველო მუშების არცერთი წარმომადგენელი. ეს იმას გვიჩვენებს, რომ სეიმი უცხო იყო მუშათა კლასისათვის.

სახალხო მთავრობას საერთო არაფერი აქვს ძველი რეჟიმის იდეოლოგიასთან, მას საერთო არაფერი აქვს ამ რეჟიმის ქმნილებასთან — სეიმთან, რომელიც თავისი შემადგენლობითა და საქმიანობით ხალხის ფართო მასების წარმომადგენელი არ იყო. ასეთი სეიმი დათხოვნილ უნდა იქნას. უნდა გამოვთქვათ რწმენა, რომ ჩვენი სამშობლო ასეთ სეიმს ამიერიდან არასოდეს არ იხილავს“.

ლატვიის და ესტონეთის სამხედრო თავდაცვითი კავშირის გაუქმება

რიგა, 1 ივლისი (საკდესი). ესტონეთის მთავრობასთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ლატვიის მთავრობამ დაადგინა ა. წ. 1 ივლისიდან გაუქმებულ იქნას ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებს შორის 1923 წლის 1 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება სამხედრო-თავდაცვითი კავშირის შესახებ და 1934 წლის 17 თებერვალს დადებული ხელშეკრულება ლატვიასა და ესტონეთს შორის კავშირის შექმნის შესახებ.

ლატვიელი მწერლებისა და ჟურნალისტების დეკლარაცია

რიგა, 30 ივნისი (საკდესი). ლატვიელი მწერლებისა და ჟურნალისტების პროფესიულმა კავშირმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია: „ძველმა პლუტოკრატიულმა მთავრობამ მოახდინა ლატვიის კულტურული ცხოვრების სრული დეზორგანიზაცია და დემორალიზაცია, პროგრესიული და დემოკრატიული ორგანიზაციები დაშლილი იყვნენ, სკოლები და ბიბლიოთეკები მოკლებული იყვნენ საუკეთესო წიგნებს. პლუტოკრატიული რეჟიმის დაცემამ ლატვიელ მწერლებსა და ჟურნალისტებს დაუბრუნა მათი უფლება — თავისუფლად გამოსთქვან თავიანთი აზრი, და ლატვიურ ლიტერატურას დაუბრუნა მისი ნაციონალური ძალები. საბჭოთა კავშირის ხალხებთან მჭიდრო მეგობრობა კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს კულტურას ახალი იდეებითა და მხატვრული ღირებულებებით“.

რუსული ენის სწავლება ლატვიურ სკოლებში

რიგა, 30 ივნისი (საკდესი). ლატვიის განათლების სამინისტრომ გადასწყვიტა შემოიღოს ყველა ლატვიურ სკოლაში რუსული ენის სწავლება. განათლების სამინისტრომ გამოარკვია, რომ 3.900 სკოლის მასწავლებელმა კარგად იცის რუსული ენა და რომ ისინი განმეორებითი კურსის განვლის შემდეგ, შესძლებენ დაიწყონ ამ ენის სწავლება. მხოლოდ 89 სკოლაში არ არიან ისეთი მასწავლებლები, რომლებსაც შეუძლიათ ასწავლონ რუსული ენა. ზაფხულის მანძილზე რუსული ენის მასწავლებელთათვის მთელს ლატვიაში მოეწყობა ოთხკვირეული და ექვსკვირეული კურსები.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შესახებ

ბულგარეთი

სოფია, 1 ივლისი (საკდესი). ბულგარული პრესა კვლავ იძლევა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კონფლიქტის მოგვარების კომენტარს. გაზეთი „დაგა“ მოწინავე სტატიაში სწერს: „საბჭოთა ჯარი ამთავრებს ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის დაკავებას, რომლებიც რუმინეთის მთავრობამ მშვიდობიანად დაუთმო საბჭოთა კავშირს. ბესარაბიის საკითხი ამიერიდან წარსულს ჩაბარდა. ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სხეულზე მოარჩინეს მძიმე ჭრილობა და რომ გამოსწორდა დიდი უსამართლობა... რუმინეთი 20-ზე მეტი წლის განმავლობაში ჰფლობდა ბესარაბიას და საამისოდ არავითარი უფლება არა ჰქონია. ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის დაკავებით საბჭოთა კავშირმა უწინარეს ყოვლისა თავისი ისტორიული უფლება აღადგინა“.

ლიტვა

კაუნასი, 1 ივლისი (საკდესი). ყველა ლიტვური გაზეთი ვრცელ სტატიებს აქვეყნებს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შესახებ. გაზეთი „ლიეტუვოს აიდასი“ დღეს სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „სსრ კავშირის მშვიდობიანობის პოლიტიკის გრანდიოზული გამარჯვება“, სწერს: „საბჭოთა კავშირი აღმართულია, როგორც მშვიდობიანობის ურყევი სიმაგრე, როგორც ბედნიერების ლამპარი, რომელიც უზრუნველჰყოფს თავისუფლებას ყველა დამონებული ხალხისათვის. წითელმა არმიამ მყუდროება, მშვიდობა და თავისუფლება მოუტანა ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს. ახლა მან გაათავისუფლა რუმინელი პლუტოკრატების მიერ აოხრებული ბესარაბია და ჩრდილოეთ ბუკოვინა“.

ახალი დანიშვნები ესტონეთში

ტალინი, 1 ივლისი (საკდესი). ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით სახალხო მეურნეობის მინისტრის ამხანაგად დაინიშნა ოსკარ სეპრე და საინფორმაციო ცენტრის უფროსის თანაშემწედ—იოჰანეს ლაურისტინი.

○

ოსკარ სეპრი დაიბადა 1900 წელს, დაამთავრა ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი, ცნობილი ეკონომისტია. ესტონეთის მუშათა მოძრაობის ლიდერია.

○

იოჰანეს ლაურისტინი დაიბადა 1899 წელს. სწავლობდა ტალინის სალამოს გიმნაზიაში, საიდანაც გარიცხულ იქნა პოლიტიკური მოტივებით. ცნობილი ესტონელი ჟურნალისტია; აქტიურად მონაწილეობდა მუშათა პრესაში. რევოლუციური მოღვაწეობისათვის არაერთხელ ყოფილა დაპატიმრებული. 15 წელი საპყრობილეში გაატარა.

მიტინგი კაუნასში

კაუნასი, 30 ივნისი (საკდესი). ივნისის პაპანაქების მიუხედავად, კაუნასის სასპორტო სტადიონი, სადაც წინათ მშრომელებს არ უშვებდნენ, გუშინ ხალხით გაჭედილი იყო. ათიათასობით მშრომელი შეიკრიბა მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ლიტვის საპატიმროებიდან განთავისუფლებულ პოლიტპატიმრებთან შეხვედრას. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ახალი მთავრობის წევრები და ყოფილი პოლიტპატიმარნი: მილეიკისი, რომელსაც წინანდელი მთავრობის დროს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მისიულისი, რომელსაც სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, და სხვები, მრავალი წლის განმავლობაში რომ ისხდნენ ლიტვის საპატიმროებში. მიტინგი უდიდესი ენტუზიაზმით და აღფრთოვანებით ჩატარდა. ამხანაგი სტალინის სახელის ყოველ ხსენებას მქუხარე ტაშით და „ინტერნაციონალის“ სიმღერით ხვდებოდნენ. მიტინგზე გამოვიდნენ ლიტვის მთავრობის წევრები. მიწათმოქმედების მინისტრმა მიცკისმა, რომელიც შეეხო გლეხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, აღნიშნა, რომ მთავრობა სასწრაფო წესით ამზადებს მიწის რადიკალური რეფორმის გატარებას.

იუსტიციის მინისტრმა პოკარკლისმა დამსწრეთ უამბო, რომ ამჟამად მომზადებულია კანონი ლიტვიდან გაქცეული ხალხის მტრების ქონების კონფისკაციის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა კოგანმა განაცხადა, რომ სმეტონას ლიტვაში ჯანმრთელობის დაცვის საქმეს სკუხასი განაგებდა. გასაგებია, თუ რა „ჯანმრთელობის დაცვა“ იქნებოდა ეს. ამჟამად ჯანმრთელობის დაცვის ახლადშექმნილი სამინისტრო უკვე აწყობს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა უფასო მკურნალობას.

განათლების მინისტრმა ვენცლოვამ დამსწრეთ უამბო ძველი რეჟიმის მიერ დაყენებულ უმეცართა და მტრულ ელემენტთა სახალხო განათლების აპარატიდან განდევნის შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღებით იქნა მოსმენილი ახლანდელი სახელმწიფო კონტროლიორის ადომაუსკასის სიტყვა, რომელმაც 10 წელიწადი გაატარა სმეტონას საპატიმროებში.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე კაუნასის ფაბრიკებისა და ქარხნების მუშათა წარმომადგენელნი. ზიზღით და სიძულვილით ჰგმობდნენ ისინი სმეტონას პლუტოკრატიულ რეჟიმს. ისინი სიტყვას აძლევდნენ ახალ მთავრობას, რომ მტკიცედ გადაწყვეტილი აქვთ ამხილონ ხალხის ყველა მტერი და ახალი ცხოვრების მშენებლობის ავანგარდში იდგებიან.

მიტინგზე გამოსული ყველა ორატორი თავის სიტყვას ამთავრებდა ლოზუნგებით: „გაუმარჯოს მამაცს წითელ არმიას!“, „გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა კავშირს!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს—ხალხთა ბელადს და გამათავისუფლებელს!“, „გაუმარჯოს ლიტვის კომუნისტურ პარტიას!“.

მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო ამხანაგ სტალინისადმი მისალმება, სადაც ლიტველი ხალხი მადლობას უძღვნის ამხანაგ სტალინს „ძმური დახმარებისათვის, რომელიც ლიტველმა ხალხმა სსრ კავშირისაგან მიიღო“.

შესანიშნავი ნაშრომი სტახანოვური მუშაობის გამოცდილებაზე

З. С. НАДИРАДЗЕ «Горячая сварка чугунных паровозных цилиндров».
(Трансжелдориздат. Москва—1940 г.)

„კომუნიზმი იწყება იქ, სადაც ჩნდება უბრალო მუშათა თავგანწირული, მძიმე შრომის დამძლეველი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, — სწერდა გენიალური **ლენინი** 1919 წელს თავის ცნობილ სტატიაში „დიადი დასაწყისი“.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც შრომა დიდების შარავანდედითაა მოსილი, სადაც შრომა სახელის, მამაცობისა და გმირობის საქმეა,—„უბრალო მუშები“ თავდადებისა და შრომითი ენტუზიაზმის გაუგონარ მაგალითებს გვაძლევენ, შრომის ნაყოფიერების ზრდის სასწაულებს ახდენენ.

ამ „უბრალო მუშებში“ უთვალავია უნარიანი, ნიჭიერი, საქმის მცოდნე ადამიანი. ამოუწურავია მათი შემოქმედებითი ინიციატივა, დაუშრეტელია მათი შემოქმედებითი გაქანების წყარო.

ამ დებულების საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს თბილისის **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სახელგანთქმული სტახანოველის, ლენინის ორდენოსანი ელექტროშემდუღებელის ამხ. ზ. ნადირაძის მაგალითი.

ამხ. ზ. ნადირაძე საქვეყნოდ ცნობილი ადამიანია. მას კარგად იცნობენ როგორც თბილისის, ისე ტაშკენტის, დნეპროპეტროვსკის, ორენბურგისა და უფის ორთქლმავლის სარემონტო ქარხნების მუშები. ამხ. ნადირაძემ სახელი მოიხვეჭა ელექტროშედუღების საქმის შესანიშნავი ცოდნით.

ამხ. ნადირაძემ 1939 წლის 21 დეკემბერს, დიდი ბელადის **ი. ბ. სტალინის** დაბადების 60 წლისთავისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავად დაამყარა საკავშირო რეკორდი—181 საათის სამუშაო გააკეთა 7 საათში—დავალება შეასრულა 2585 პროცენტით და გამოიმუშავა 584 მანეთი და 82 კაპ. ასეთი მაჩვენებლები ამხ. ნადირაძისთვის იშვიათი როდია.

ამხ. ნადირაძემ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ელექტროშედუღების დარგში მდიდარი გამოცდილება დააგროვა. ამ გამოცდილების დამაჯერებელ ფაქტს წარმოადგენს „ტრანსჟელდორიზდატის“ გამოცემით მოსკოვში ინჟ. კ. მ. მალკოვის რედაქციით ამას წინათ გამოსული ამხ. ზ. ნადირაძის ნაშრომი: «**Горячая сварка чугунных паровозных цилиндров**».

ავტორი შესავალში მოგვითხრობს იმ გზაზე, რომელიც მან განვლო 1931 წლიდან შედუღების საქმის შესწავლისათვის, გვიამბობს იმაზე, თუ რა დიდი ინტერესით და გატაცებით ეუფლებოდა შედუღების საქმეს, თუ რა მძლავრი ბიძგი მისცა მას ამ საქმეში სოციალისტური შეჯიბრების დაწყებამ, თუ როგორ გამოეხმაურა იგი ალ. სტახანოვის სანგრევი უროს დევგმირულ დარტყმას და როგორ აღწევს იგი სოციალიზმის შესაფერ შრომის ნაყოფიერებას.

ნაშრომის პირველ თავშივე მოცემულია ის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა სტახანოვური მუშაობისათვის, მაშასადამე, შრომის მაღალი ნაყოფიერების მისაღწევად. შემდეგ ავტორი დაწვრილებით აღნიშნავს სამუშაო ადგილის მოწყობის დიდ მნიშვნელობას და გადმოგვცემს თავის გამოცდილებას, თუ როგორ მოაწყო მან სამუშაო ადგილი: „სამუშაო ადგილის სწორი ორგანიზაციით მე მაქვს შემდეგი შედეგი: თვეში 6-7 ცილინდრის შედუღების ნაცვლად, ახლა ვადუღებ 20-25 ცილინდრს, ე. ი. შრომის ნაყოფიერება ავამაღლე სამჯერ და უფრო მეტად“—სწერს ამხ. ნადირაძე.

შემდეგ ბროშურაში გადმოცემულია ცილინდრებში დეფექტების გამოვლინების, ცილინდრების ცხელი შედუღებისათვის მომზადების, ცილინდრების გასახურებლად ღუმელების მოწყობის და სხვა პროცესების ამომწურავი ანალიზი.

ავტორი განსაკუთრებით დიდხანს და დაწვრილებით ჩერდება შედუღების ტექნოლოგიურ პროცესზე და ღუმელების მოწყობის სხვადასხვა შემთხვევებზე. იგი ცალცალკე არჩევს სხვადასხვა სერიის ორთქლმავლების ცილინდრთა შედუღების ტექნოლოგიურ პროცესს, გადმოგვცემს თავის უმდიდრეს გამოცდილებას.

დასასრულს ავტორი მიუთითებს ცილინდრების ცხელი შედუღების შემთხვევაში სამუშაო დროის მაქსიმალურად შემჭიდროების, შავი ლითონის დიდი ეკონომიისა და შედუღების მაღალი ხარისხის ფაქტებზე, რაც საგრძნობ უპირატესობას ანიჭებს ამხ. ნადირაძის მეთოდს.

ბროშურა გათვალისწინებულია ორთქლმავალ-სარემონტო, ქარხნებისა და საორთქლმავლო დეპოების შემდუღებელ სამქროთა მუშებისათვის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს შრომა დიდ დახმარებას გაუწევს ყველა შემდუღებელს.

„უბრალო მუშები“ არა მარტო თავგანწირულად იბრძვიან შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, არამედ, ამავე დროს, სწერენ ფრიად სერიოზულ და მეტად მნიშვნელოვან შრომებს წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებაზე. ამხ. ნადირაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ერთი ასეთთაგანია.

სასურველია ამხ. ზ. ნადირაძის ბროშურა ქართულადაც ითარგმნოს.

პ. ჭიოკაძე.

აჭარის სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდის გასტროლები

აჭარის ასსრ სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი დამსახურებული ლოტბარის ამხ. ა. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით მიემგზავრება საგასტროლოდ. 4 ივლისიდან გუნდი მოაწყობს კონცერტებს თბილისში, ფოთში, სოხუმში, გაგრაში, ზუგდიდში, ცხაკაიაში, აბაშაში, სამტრედიაში, რიონში, ქუთაისში, წულუკიძეში, ზესტაფონში, წყალტუბოში, შორაპანში, ჭიათურაში, ხაშურში, წაღვერში, სურამში, მახარაძეში და ლანჩხუთში.

გუნდის რეპერტუარი წელს გამდიდრებულია ახალი სიმღერებით, საჩონგურო და საცეკვაო ნომრებით. მათ შორის აღსანიშნავია ა. ერქომაიშვილის ახალი სიმღერა „სტალინ-სტალინ საყვარელო“, რომელიც მიძღვნილია ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** დაბადების 60 წლისთავისადმი, და ჩონგური — „ბელადზე“. აგრეთვე ლ. ერქომაიშვილის ახალი საჩონგურო ნომერი თავდაცვითს თემაზე და სხვ.

რეპერტუარში შედის 12 სხვადასხვა სახის კავკასიური ცეკვა, მათ შორის — ქურთბარი, ქისტური, ინგუშური და სხვ. გუნდი სულ 40 კაცისაგან შესდგება. მათ შორის 15 მომღერალია, 15 მოცეკვავე და 10 მეჩონგურე. გუნდში მონაწილეობს ჭიბონის ხალხური დამკვრელი რესულ სურმანიძე და ბაიანის დამკვრელი ა. ქუთათელაძე. ცეკვებს ხელმძღვანელობს ე. დოლიძე.

გასტროლებს აჭარის სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი დაიწყებს ქ. თბილისიდან, სადაც იგი გამართავს 10 კონცერტს.

ა. სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“ რუსთაველის სახელობის თეატრში

1940-1941 წლის სეზონის პირველ ნახევარში რუსთაველის სახელობის თეატრი დასდგამს ა. სუმბათაშვილი-იუჟინის შესანიშნავ ისტორიულ ტრაგედიას — „ღალატს“, რომელიც გვიხატავს ქართველი ერის გმირულ ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

თეატრმა ტრაგედიის დასადგმელად მზადება უკვე გაშალა. როლები განაწილებულია ასე: ოთარბეგი—ა. ხორავა, გ. დავითაშვილი, ზეინაბი—ნუცა ჩხეიძე, ნ. დავითაშვილი და თ. თუშიშვილი, სულეიმანი—მ. ჩიხლაძე, ანანია—ა. ვასაძე, ალ. აფხაიძე, დათო—გ. საღარაძე, ერეკლე—ვ. დოლიძე, რუქაია—ლ. ლაფაჩი, ი. თარხნიშვილი, გაიანე—რ. ბერიძე, ა. თოიძე, ნ. ალექსი-მესხიშვილი, ისახარ — შ. სანაძე, მაიკო—ნ. ჯავახიშვილი, ე. დონელი, ბესო—მ. აფხაიძე, გ. ასიტაშვილი, საბა—დ. ხუციშვილი.

ტრაგედიას სდგამს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა. მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. გამრეკელი, მუსიკას სწერს კომპოზიტორი ი. ტუსკია.

(საქდესი).

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **მარჯანიშვილის** სახელობის — „ანრი სეარ“, **საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი** — გასტროლები მოსკოვის დრამის ანსამბლისა სახ. არტისტ ვაჰრამ ფაფაზიანის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით—„დასჯა“.

კინოებში: **რუსთაველის** სახ. — „გადასვლა“, **ოქტომბერი** — „მეგობრები“, **დამკვრელი** (ზაფხულის) — „გადასვლა“, **დამკვრელი** (ზამთრის) — „გადასვლა“, **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „პატარა დედა“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „ყუბანელები“, **ლუქსემბურგის** სახ. — „კონცერტი ეკრანზე“, **კომინტერნი** — „ჩვიდმეტი წლისანი“, **26 კომ.** სახ. (ზაფხულის) — „აზამატ“, **26 კომ.** სახ. (ზამთრის) — „ამანგელდი“, **კომინტერნი** — „ჩვიდმეტი წლისანი“, **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „კაინი და არტემ“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
მოსკოვის დრამის ანსამბლის გასტროლები **ვაჰრამ ფაფაზიანის**
ხელმძღვ. და მონაწილეობით
3 ივლისს
უკანასკნელად
დასჯა
დრამა 4 მოქმ.
დასაწყისი 9 საათზე.

დახურული თეატრი
3 ივლისს
მოსკოვის ესტრადის მსახიობთა
გასტროლი
ძველებური რომანსების და საჟანრო სიმღერების შემსრულებელი
კაზიმირ მალახოვის მონაწილეობით
დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
დაწვრილებით აფიშებში.

საზაფხულო თეატრი
4, 5, 6 ივლისს **ძველებური ბოშური რომანსების და ხალხური სიმღერების**
შემსრულებელი კალიმ კოზინის უკანასკნელი საღამოები.
დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი 9 ს. 30 წ.

ბაღში ყოველდღე უკრავს სასულე ორკესტრი სეხნიაშვილის ხელმძღვანელობით
იყიდება ლუდი.

ყველა საღამოზე ბილეთები წინასწარ იყიდება სალაროში. სალარო ღიაა
დილის 11-დან 3 საათამდე, საღ. 6-დან 10 საათამდე.

საქსახესტრადის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მისაღებად
მსურველთა გასინჯვა მოხდება 4 და 5 ივლისს დღის 1 საათიდან.
8 ივლისს 1 საათზე დაიწყება მოცეკვავეთა გასინჯვა.
გასინჯვა მოხდება საზამთრო თეატრის შენობაში, პლეხანოვის პროსპ. № 123.
200 **დირექცია.**

სსრკ ფინსახკომის სრულიად-საკავშირო დაუსწრებელი საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის („ვზინო“) საქართველოს ფილიალი
აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1940-41 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:
1. ფინანსების და კრედიტის და 2. საალრიცხვო-ეკონომიურზე.

„ვზინო“-ს საქართველოს ფილიალს აქვს ორი სექტორი: ქართული და რუსული.
ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი მიიღებენ დიპლომს სტაციონარული უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების ყველა უფლებებით.
სწავლის ვადა 5 წელიწადია.
ინსტიტუტში მიიღებიან პირნი, რომელთაც აქვთ ატესტატი საშუალო განათლების შესახებ (ათწლედი, მუშფაკი, ტექნიკუმი). მსურველებმა უნდა ჩააბარონ მისაღები გამოცდები ქართულ ენაში და ლიტერატურაში, რუსულ ენაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, გეოგრაფიაში, სსრკ ხალხთა ისტორიასა და კონსტიტუციაში, აგრეთვე ერთერთ უცხო ენაში (გერმანული, ინგლისური, ფრანგული).
გამოცდების ჩაბარება იწარმოებს ქალ. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში და მახარაძეში საგამოცდო კომისიებში.
განცხადებები მიიღება „ვზინო“-ს საქ. ფილიალის მიერ (თბილისი, კეცხოველის ქ. № 7) 1 აგვისტომდე.
მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 31 აგვისტომდე.
ჩარიცხვა 1-დან 15 სექტემბრამდე. ცნობები გაიცემა „ვზინო“-ს საქ. ფილიალის კანცელარიაში ყოველდღე 3 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
617 „ვზინო“-ს საქ. ფილიალის გამგე **ტრაპაიძე.**

თბილისის იურიდიული სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1940-41 სასწავლო წლისათვის
ქართულ და რუსულ სექტორებზე.

სკოლაში მიიღება ორივე სქესის ყველა მოქალაქე 17-დან 40 წლამდე ასაკისა, რომელთაც დაუმთავრებიათ შვიდი კლასი, ან მისი თანაბარი სასწავლებელი და რომელთაც აქვთ არა ნაკლებ, ვიდრე ორი წლის მუშაობის სტაჟი პარტიულ-კომკავშირულ, საბჭოთა-პროფკავშირულ ორგანიზაციებში.

სკოლაში საბუთების მიღება სწარმოებს პირველ ივლისიდან 31 ივლისამდე.
მისაღები გამოცდები—7 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

მსურველებმა დირექციის სახელზე განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების მოწმობა (დედანი);
3. დაბადების მოწმობა;
4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ;
5. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ;
6. დახასიათება პარტიულ-კომკავშირული და საბჭოთა პროფესიული ორგანიზაციებიდან.
7. სამი ფოტოსურათი (3×4 ს.მ.) შემოწმებული, პასპორტი, შრომის წიგნაკი და სამხ. ბილეთი წარმოდგენილი იქნება პირადად.

შემსვლელნი აბარებენ გამოცდას საშუალო სკოლის შვიდი კლასის მოცულობით შემდეგ საგნებში:

1. ქართულ ენაში (ზეპირი), 2. მათემატიკაში (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია), 3. სსრკ კონსტიტუციაში, 4. რუსულ ენაში.

ჩარიცხული მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.
სწავლების ვადა ორი წელი.
საბუთები უნდა წარმოადგინონ შემდეგი მისამართით:
ქ. თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. იურ. სკოლის დირექციაში.
623 **სკოლის დირექცია.**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს
კვების, შრომის და კომუნალური ჰიგიენის კურსების ხელმძღვანელობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ა. წ. 28 ივლისამდე უნდა შეიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე. განცხადებას ორ-ორ ცალად უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

1. კადრების აღსარიცხავი შევსებული ფურცელი, 2. ავტობიოგრაფია, 3. დიპლომის ასლი, 4. სამეცნიერო ხარისხში და სამეცნიერო წოდებაში დამტკიცების დოკუმენტების ასლი, 5. პოლიტიკური და საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, 6. სამეცნიერო შრომების სია და თვით სამეცნიერო შრომები.

განცხადება და დოკუმენტები წარედგინება სამედიცინო ინსტიტუტის დირექციას: თბილისი, ლუნაჩარსკის ქ., № 12.
85 **დირექცია.**

ქუთაისის ამხ. ა. ი. მიქოიანის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ტექნიკუმი
(საკონსერვო მრეწველობის)
აწარმოებს მსმენელთა მიღებას 1940-41 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმი ამზადებს ქიმიკოს-ტექნოლოგებსა და საქონელთმცოდნეებს ხილბოსტნეულისა და ციტრუსების დამზადების დარგში, საკონსერვო მრეწველობისათვის.

ტექნიკუმში მიიღებიან 15 წლიდან 30 წლამდე ასაკით, არასრ. საშ. სკ. კურსდამთავრებულნი (ორივე სქესის).

ტექნიკუმს აქვს ორი სექტორი: ქართული და რუსული.

განცხადებასთან ერთად საჭიროა წარმოდგენილი იქნას შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა, 3. მოწმობა სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულებიდან იმის შესახებ, რომ შემომსვლელი არ არის დაავადებული ისეთი ავადმყოფობით, რომელიც ხელს უშლის ტექნიკუმში შესვლას, და ცნობა აცრის შესახებ, 4. სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება (სამხედრო ვალდებულთათვის), 5. 3 ფოტოსურათი უქუდოდ, საკუთარი ხელის მოწერით, 6. პასპორტი პირადად უნდა იქნას წარმოდგენილი, 7. ავტობიოგრაფია.

ტექნიკუმში შემომსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგს საგნებში: 1. მათემატიკა (წერითი და ზეპირი), 2. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), 3. რუსული ენა (წერა და ზეპირი), 4. სსრკ კონსტიტუცია, 5. გეოგრაფია, 6. ფიზიკა.

არასრული საშუალო სკოლის ფრიადოსნები, საშუალო სკოლისა და მუშფაკის კურსდამთავრებულნი მიიღებიან უგამოცდოდ.

განცხადებების მიღება დაწყებულია და გაგრძელდება 15 აგვისტომდე.

განცხადება ზემოაღნიშნული საბუთების თანდართვით, წარმოდგენილი უნდა იქნას დირექტორის სახელზე, პირადად ან ფოსტით (დაზღვეული ბარათით).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე, არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით საერთო წესით. საცხოვრებელთან არსებობს სტუდენტთა სასადილო.

მისამართი: ქ. ქუთაისი, ლუნაჩარსკის ქ. № 6.
220 **ტექნიკუმის დირექტორი ი. გენძეხაძე.**

მინადორა, ლონგინოზ მებურიშვილები, ნინო ბოკერია, ოლღა ურუშაძე, ნადია, ლეონიდ ტრაპაიძეები შვილებით იუწყებიან
ილარიონ ჟღენტის
გარდაცვალებას. 6979

გორის მეხილეობა-მებოსტნეობის სასელექციო საცდელი სადგურის თანამშრომლები იუწყებიან
გიორგი დავითის-ძე ფურცელაძის
გარდაცვალებას. 6977

მშობლები თადეოზ, ალექსანდრა, ძმები ეორა, მიშა, ბიძები ლუკა, ივანე, პავლე ქოიავები ცოლშვილით იუწყებიან, რომ 6/VII აბაშაში (ძვ. აბაშა) დანიშნულია
ვერა (ვენერა) ქოიავას
სამოქალაქო პანაშვიდი. 6980

შაქრო, თამარ მაჭავარიანები, ტერეზა, გრიშა ცქიტიშვილები შვილებით, ელიკო, ლევან წინამძღვრიშვილები იუწყებიან
ანასტასია (ცუცაკო) მაჭავარიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ბორში (ხარაგოულის რ.) 5/VII. 6978

ცოლი მარიამ, შვილი ეთერი, სიდედრი დესპინე, თინა და მარგალიტა თოფურიძეები იუწყებიან
ვლადიმერ ტრიფონის-ძე ჯამასპიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება რკინიგზის საავადმყოფოდან 3/VII 6 ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 6988

საქ. სახდაზღვევის სამმართველოს მუშაკთა კოლექტივი იუწყება ამავე სამმართველოს მუშაკის დავით თოფურიას დედის
სალომეს
გარდაცვალებას ქ. სოხუმში. 6981

შვილები ნინო ულენტისა, თამარ შარაშენიძისა, ვერა ასათიანისა ქმარშვილით, დავით, მული ევა იუწყებიან
მაკრინე გიორგის-ასულ გომელაურის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/VII 8 ს. ცხემის ჩიხი, 4. დაკრძალვა 4/VII, 6 ს.

აბასთუმნის პირველი სანატორიუმის თანამშრომლები იუწყებიან ამავე სანატორიუმის თანამშრომლის
მარგარიტა კახიანის
გარდაცვალებას.

ცოლი ლოლა, შვილები ქეთო, აჩიკო, მედეა იუწყებიან
ილარიონ ჟღენტის
გარდაცვალებას. გამოსვენება 4/VII 6 ს. ამოს, 11 კუკიის სასაფლაოზე. 6935

მეუღლე ანეტა, შვილები ვახტანგ, კონსტანტინე, რძლები ქეთო, თამარ, შვილიშვილები ნუგზარ, ნარგიზა თენგიზ იუწყებიან
სიმონ დიმიტრის-ძე წერეთლის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. გორში 7/VII. 6986

მაშურა და შალიკო ყიფიანები შვილებით იუწყებიან სიძის, მეგობრისა და ბიძის
სიმონ დიმიტრის-ძე წერეთლის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 7/VII ქ. გორში. 6986

სონა და ვასილ ჯაფარიძეები შვილებით, ზურაბ ცოლშვილით, მარიკა შვილებით, პეტო და გოგი იუწყებიან
ცუცაკო მაჭავარიანის
გარდაცვალებას. 6978

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1326